პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის, თბილისის კომიტეტისა და საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების საბჭოების ორგანო

№ 12 (5412) | კვირა, 15 იანვარი 1939 წ. | ფასი 10 კაპ.

დღეს გაზეთში:

შემოქმედებითი მუშაობის ამაღლების გზით (მოწინავე)

მანქანა - ტრაქტორთა სადგურების მუშაობის შესახებ სსრ კავშირის სახალხო კომისართა საბჭოს და საკ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის დადგენილება (1-ლი გვ.).

მარცვლეული კულტურების ხაზით მტს-ების მიერ შესრულებულ სამუშაოთა ნატურანაზღაურების დარიცხვის წესის შესახებ სსრ კავშირის სახალხო კომისართა საბჭოს და საკ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის დადგენილება (1-ლი გვ.)

ხელოვნების მუშაკთა კრება მოსკოვში. მ. ი. კალინინის გამოსვლა (1-ლი გვ.)

უმაღლეს სკოლაში მარქსიზმ-ლენინიზმის სწავლების შესახებ (4-ლი გვ.)

კ. მარჯანიშვილის სახელობის თეატრის ათი წელი (მე-3 გვ.).

უცხოეთში:

იტალია - ინგლისის მოლაპარაკება (მე-4 გვ.)

იტალიის პრესა ჩემბერლენისა და მუსოლინის საუბრის შესახებ (მე-4 გვ.)

შემოქმედებითი მუშაობის ამაღლების გზით

განსაკუთრებული მზრუნველობით, სიყვარულითა და ყურადღებით არის გარემოცული სსრ კავშირის ხალხთა კულტურა ლენინ-სტალინის დიადი პარტიის მხრივ.

ლენინურ-სტალინურმა ნაციონალურმა პოლიტიკამ უზრუნველჰყო ხალხთა ბედნიერ ოჯახში შემავალი რესპუბლიკების ფორმით ნაციონალური და შინაარსით სოციალისტური კულტურის უჩვეულო გაფურჩქვნა და აყვავება. ჩვენს ბედნიერ სამშობლოში, სადაც შრომა გადაქცეულია ადამიანის ღირსებისა და დიდების, სიმამაცისა და გმირობის საქმედ, თავისუფალმა ხალხებმა შექმნეს და განავითარეს თავისი ლიტერატურა და ხელოვნება.

ცნობილია, რომ დიდი ლენინი ოქტომბრის რევოლუციის მეორე დღესვე მიუთითებდა საბჭოთა ხელისუფლებას — წარსული კულტურის მემკვიდრეობიდან აუცილებლად შეენახა თეატრი, რადაც არ უნდა დასჯდომოდა ეს.

ცნობილია ისიც, რომ დიდი სტალინის რჩევა-მითითებები დაედო საფუძვლად საბჭოთა კავშირის საუკეთესო თეატრის — მოსკოვის მ. გორკის სახელობის სამხატვრო აკადემიური თეატრის შემოქმედებითი მუშაობის გარდაქმნას. ამხანაგ სტალინის მითითების განხორციელებით, რეპერტუარში საბჭოთა და კლასიკური დრამატურგიის საუკეთესო ნაწარმოებთა შეტანით, სამხატვრო თეატრმა კიდევ უფრო განამტკიცა კავშირი სოციალისტურ სინამდვილესთან.

პროლეტარიატის ბელადებმა და მასწავლებლებმა პარტიას ამოცანად დაუსახეს დიდი გულისყური და მზრუნველობა საერთოდ ხელოვნებისა და, კერძოდ, თეატრის მიმართ. სწორედ ამიტომ საქართველოს ბოლშევიკებმა ჩვენს ქვეყანაში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების დღიდანვე, თეატრი სახელმწიფო მზრუნველის საგნად გახადეს და შეუქმნეს მას განვითარების ყველა პირობა.

საბჭოთა ხელისუფლებამ უმაგალითო სიმაღლეზე აიყვანა ქართული თეატრის პოლიტიკურ-კულტურული როლი. განსაკუთრებით მაღალ მხატვრულ დონეს მიაღწია თეატრმა უკანასკნელი 6-7 წლის განმავლობაში, როცა საქართველოს მშრომელთა გამარჯვებებს ხელმძღვანელობდა ლენინ-სტალინის პარტიის ერთგული შვილი ამხანაგი **ლავრენტი ბერია.**

დღეს, როდესაც საქართველოში გვაქვს 46 თეატრი 1650 შემოქმედი მუშაკით, ნაცვლად 4 ღონემიხდილი, გაჩანაგებული თეატრისა 150 მუშაკით, რომელიც მემკვიდრეობათ მივიღეთ 1921 წელს, ჩვენ განსაკუთრებულ სიამაყეს განვიცდით.

ქართული თეატრალური ხელოვნების აღორძინების პიონერი იყო რუსთაველის სახელობის აწ უკვე ლენინის ორდენოსანი თეატრი, რომელმაც სცენის ცნობილი ოსტატის კოტე მარჯანიშვილის ხელმძღვანელობით თავისი პირველი რევოლუციური სპექტაკლით „ცხვრის წყაროთი“ შესძლო მაშინდელ სცენაზე გაბატონებული რუტინისა და აქტიორული შტამპის განადგურება და ახალი შემოქმედებითი ძალების გამოვლინება. მას შემდეგ რუსთაველის სახელობის თეატრი სათავეში ჩაუდგა ჩვენი თეატრალური ხელოვნების აღორძინებას.

საბჭოთა ხელისუფლების მთელმა რიგმა ღონისძიებებმა თეატრის შემოქმედებითი ძალების გამოვლინებისა და აღზრდის საქმეში უზრუნველჰყეს აქტიორულ-რეჟისორული კადრების სწრაფი ზრდა. ამის შედეგად 1928 წელს დაარსდა ქუთაის-ბათუმის სახელმწიფო დრამის თეატრი, რომელიც ორი სეზონის შემდეგ გადმოვიდა თბილისში სამუშაოდ. მისი სახელოვანი ხელმძღვანელის გარდაცვალების შემდეგ მას მიენიჭა კ. მარჯანიშვილის სახელი. დღეს ჩვენი ხალხი აღნიშნავს ამ კულტურული კერის, ამ ერთერთი წამყვანი თეატრის არსებობის 10 წლისთავს. და ეს სახელოვანი იუბილე ქართული კულტურის ნამდვილი დღესასწაულია.

მარჯანიშვილის თეატრს მასების პოლიტიკურ-მხატვრული აღზრდის სკოლის ყველა საუკეთესო თვისებები ახასიათებს. ამიტომ შეიყვარა იგი ხალხმა.

გამარჯვებით დასრულდა თეატრის არსებობის პირველი ათეული წელი. ეს პერიოდი მარჯანიშვილის სახელობის თეატრის საბრძოლო გამოცდის წლები იყო. ქართველი ხალხის საამაყო შვილის ამხანაგ ლავრენტი ბერიას დახმარებითა და ყოველდღიური ხელმძღვანელობით თეატრმა გამოცდა ბრწყინვალედ ჩააბარა.

— ჰყვავის ხელოვნება და ლიტერატურა, რუსთაველის სახელობის და მარჯანიშვილის სახელობის სახელმწიფო თეატრებმა მოგვცეს მთელი რიგი მაღალხარისხოვანი მხატვრული დადგმანი, რომელთა მეოხებითაც ისინი საბჭოთა კავშირის საუკეთესო თეატრთა რიგებში ჩადგნენო, — ასეთი მაღალი შეფასება მისცა ჩვენი თეატრების მუშაობას ამხანაგმა ლ. ბერიამ.

მარჯანიშვილის სახელობის თეატრმა თავი დააღწია მთელ რიგ სიძნელეებს და მტკიცედ მოიმარჯვა სოციალისტური რეალიზმის — შემოქმედების ამ ძირითადი ქვაკუთხედის — ნაცადი მეთოდი. პიესის „ნაპერწკლიდან“ დადგმით მის წინ გადაიშალა ახალი შემოქმედებითი პერსპექტივების სამყარო, რომელსაც თეატრი აუცილებლად დაიმკვიდრებს, რადგან ახლა იგი მეცნიერულად შეიარაღებულია მარქსიზმ-ლენინიზმის იმ დიადი ენციკლოპედიით, რომელსაც „საკ. კ. პ. (ბ) ისტორიის მოკლე კურსი“ ეწოდება.

ყოველდღიურ ამაღლებას განიცდის ჩვენში თეატრალური კულტურა. სახელმწიფოებრივი მზრუნველობით გარემოცულნი არიან არა მარტო დედაქალაქის, არამედ რაიონული და საკოლმეურნეო თეატრები, რომლებიც თავის მუშაობაში მაღალ მხატვრულ მაჩვენებლებს ამჟღავნებენ წამყვანი ქართული თეატრების და, მათ შორის, მარჯანიშვილის სახელობის თეატრის გამოცდილების მაგალითზე.

დღევანდელი შესანიშნავი იუბილე ჩვენი თეატრების საერთო დღესასწაულია. მაშ ვუსურვოთ ჩვენი ბედნიერი ქვეყნის თეატრებს კიდევ უფრო მეტი წარმატებანი მხატვრულ შემოქმედებით მუშაობაში.

უმაღლეს სკოლაში მარქსიზმ-ლენინიზმის სწავლების შესახებ

მოსკოვი, 14 იანვარი (საკდესი). უმაღლესი სკოლის საქმეთა სრულიად-საკავშირო კომიტეტმა შეიმუშავა წესი უმაღლეს სკოლაში მარქსიზმ-ლენინიზმის სწავლებისა საკ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის მიერ პარტიული პროპაგანდის შესახებ გამოტანილი დადგენილების საფუძველზე.

მოსწავლეთა წინაშე დასმულია მთავარი ამოცანა — „საკ. კ. პ. (ბ) ისტორიის მოკლე კურსის“ ღრმად შესწავლა.

1938-1939 სასწავლო წლის მეორე ნახევრიდან უმაღლეს სასწავლებლებში სხვადასხვა სოციალურ-ეკონომიური დისციპლინების დამოუკიდებელი კურსების ნაცვლად შემოღებული იქნება ერთიანი კურსი — „მარქსიზმ-ლენინიზმის საფუძვლები“.

უმაღლეს სასწავლებლებში შემოღებულია „მარქსიზმ-ლენინიზმის საფუძვლების“ შესწავლის შემდეგი წესი:

„მარქსიზმ-ლენინიზმის საფუძვლების“ შესწავლის პირველ ეტაპზე შემოღებული იქნება ლექციების კურსი „საკ. კ. პ. (ბ) ისტორიის მოკლე კურსის“ თავებისა და ამ თავების ქვედანაყოფების მიხედვით. შემდეგ მოეწყობა სასემინარო მეცადინეობა „საკ. კ. პ. (ბ) ისტორიის მოკლე კურსის“ ღრმად შესწავლისათვის თავების ქვედანაყოფთა მიხედვით. რომელთან ერთადაც პირველი წყაროების მიხედვით შესწავლილი იქნება მარქს-ენგელს-ლენინ-სტალინის ნაწარმოებები. სასემინარო მეცადინეობის წინ უნდა მოეწყოს შესავალი ლექციები და კონსულტაციები.

უფროსი კურსების სტუდენტებისათვის, რომელთაც ლენინიზმის კურსი დაამთავრეს, 1938-1939 სასწავლო წლის მეორე ნახევრიდან შემოღებული იქნება აგრეთვე კურსი „მარქსიზმ-ლენინიზმის საფუძვლები“ „საკ. კ. პ. (ბ) ისტორიის მოკლე კურსის“ მიხედვით. კურსის დამთავრებისას ჩატარდება გამოცდები.

უმაღლეს სასწავლებლებსა და უმაღლესი ტექნიკური სასწავლებლების ფაკულტეტებზე, სადაც დაწესებულია სახელმწიფო გამოცდები, შემოღებული იქნება სახელმწიფო გამოცდა „მარქსიზმ-ლენინიზმის საფუძვლების“ კურსში.

უმაღლესი სკოლის საქმეთა სრულიად-საკავშირო კომიტეტი 1939 წლის 1-ლი თებერვლისათვის ამუშავებს „მარქსიზმ-ლენინიზმის საფუძვლების“ კურსის გეგმას.

პოლიტიკური ეკონომიის სწავლება უნდა ჩატარდეს საკ. კ. პ. (ბ) ისტორიის შესწავლის შემდეგ, ხოლო დიალექტიკური და ისტორიული მატერიალიზმის სწავლება უნივერსიტეტებისა და ინსტიტუტების ისტორიულ და სალიტერატურო ფაკულტეტებზე, როგორც წესი, — პოლიტიკური ეკონომიის შესწავლის შემდეგ. უმაღლესი სასწავლებლების ფილოსოფიურ ფაკულტეტებზე დიალექტიკური და ისტორიული მატერიალიზმისა და ფილოსოფიის ისტორიის სწავლება დატოვებულია წინანდელი მოცულობით.

დიალექტიკური და ისტორიული მატერიალიზმის, ლენინიზმისა და საკ. კ. პ. (ბ) ისტორიის კათედრების ნაცვლად უმაღლეს სასწავლებლებში არსდება მარქსიზმ-ლენინიზმის ერთიანი კათედრები.

16 იანვარს, საღამოს 8 საათზე, რუსთაველის თეატრის საკონცერტო დარბაზში რუსულ ენაზე შესდგება ამხ. **ი. ი. ტალახაძის** ლექცია თემაზე:

„ლენინურ - სტალინური მოძღვრება სახელმწიფოს შესახებ“

შესვლა 1 მანეთი. ბილეთები წინასწარ იყიდება ფილარმონიის სალაროში, რუსთაველის პროსპ. № 21.

მანქანა-ტრაქტორთა სადგურების მუშაობის შესახებ

სსრ კავშირის სახალხო კომისართა საბჭოს და საკ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის დადგენილება

სსრ კავშირის სახალხო კომისართა საბჭო და საკ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტი აღნიშნავენ, რომ მტს-ების სახელმწიფო ბიუჯეტით დაფინანსებაზე გადაყვანამ მტს-ების ფინანსიური მეურნეობა მოაწესრიგა და მტკიცე საფინანსო ბაზა შეუქმნა მათ. ამავე დროს გამოცდილებამ დაგვანახვა, რომ მტს-ების დაფინანსება წლიური და ნახევარწლიური ხარჯთაღრიცხვების მიხედვით, მათ მიერ თავიანთი საწარმოო გეგმის შესრულების მიუხედავად, არა ჰქმნის მტს-ების სათანადო დაინტერესებას იმ მხრივ, რომ გაადიდონ მოსავლიანობა, ვადებისა და ხარისხის მიხედვით შეასრულონ სასოფლო-სამეურნეო სამუშაოები, უზრუნველჰყონ თესვისა და ღრმად მოხვნის საადრიო, უფრო მოკლე ვადები, აგრეთვე მთლიანად და დაწესებულ ვადებში მიიღონ კოლმეურნეობებისაგან მტს-ების მიერ შესრულებული სამუშაოსათვის დარიცხული ნატურანაზღაურება.

მანქანა-ტრაქტორთა სადგურების მუშაობის შემდგომი გაუმჯობესების მიზნით, სსრ კავშირის სახკომსაბჭო და საკ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტი, სსრ კავშირის სახკომსაბჭოს 1938 წლის 5 თებერვლის დადგენილების შესაცვლელად, **ადგენენ:**

1. გაუქმდეს არსებული პრაქტიკა, რომლის მიხედვითაც მტს-ების დაფინანსება ხდება წლიური და ნახევარწლიური ხარჯთაღრიცხვების მიხედვით, დამოუკიდებლად იმისა, ფაქტიურად შეასრულა თუ არა მტს-მა თავისი საწარმოო გეგმა, როგორც რაოდენობრივი, ისე ხარისხობრივი მაჩვენებლების მიხედვით.

2. დაწესდეს 1939 წლის იანვრიდან მტს-ების კვარტალობრივ დაფინანსება, თავისი წლიური საწარმოო-საფინანსო გეგმის შესრულების შესაბამისად, მომავალი კვარტალისათვის ავანსის მიცემის წესით. თვითეული კვარტალის გასვლის შემდეგ, არა უგვიანეს 15 დღისა, მტს ვალდებულია წარუდგინოს სახელმწიფო ბანკის განყოფილებას ანგარიში საკვარტალო საწარმოო-საფინანსო გეგმის შესრულების შესახებ. საკვარტალო ანგარიშების გარდა, მტს სახელმწიფო ბანკის განყოფილებას წარუდგენს თვიურ საფინანსო ანგარიშებს.

3. იმ შემთხვევაში, თუ მიმდინარე კვარტალში მტს-ების მიერ სამუშაოთა გეგმა გადამეტებით იქნება შესრულებული და ამასთან დაკავშირებით გაიზრდება ხარჯი კვარტალისათვის გაღებულ თანხასთან შედარებით, სახელმწიფო ბანკი დამატებით აფინანსებს მტს-ების მიერ სამუშაოთა ამ გადამეტებას მტს-ების წლიური საწარმოო-საფინანსო გეგმის ხარჯზე. საბოლოო ანგარიშის გასწორება ხდება მეოთხე კვარტალში, მაგრამ არა უგვიანეს 1-ლი დეკემბრისა, ამასთან დაფარული უნდა იყოს მტს-ების ის ხარჯები, რომლებიც დაკავშირებულია საწარმოო-საფინანსო გეგმის გადამეტებით შესრულებასთან.

4. იმ შემთხვევაში, თუ მანქანა-ტრაქტორების სადგურმა არ შეასრულა სამუშაოთა კვარტალური საწარმოო გეგმა, ხოლო კვარტალში მისთვის გადადებული სახსრები სრულად გაიტანა, სახელმწიფო ბანკი ახდენს შესრულებულ სამუშაოებთან შედარებით გადახარჯული სახსრების ჩარიცხვას და გადახარჯვის სათანადო თანხით ამცირებს მორიგ კვარტალურ ავანსს.

5. თვითეული სახის ხარჯზე (საწვავი მასალა, რემონტი, საწარმოო მუშათა ხელფასი, მტს-ების აპარატის ხელფასი და სხვა ადმინისტრატიული და სამეურნეო ხარჯები) იხსნება ცალკე ანგარიში, საიდანაც სახელმწიფო ბანკი სახსრების გაცემას აწარმოებს მტს-ის დამტკიცებული საწარმოო-საფინანსო გეგმის ფარგლებში.

მტს-ის მიერ ცალკეული მუხლების მიხედვით გამოვლინებული თანხების გადაჭარბება შეიძლება დაფარულ იქნას სხვა მუხლებით მიღებული ეკონომიის ხარჯზე, თვითეულ შემთხვევაში რესპუბლიკების სათანადო მიწსახკომებისა და სამხარეო (საოლქო) სამიწათმოქმედო განყოფილებების ნებართვით.

6. მტს-ის წლიური საწარმოო-საფინანსო გეგმა სდგება კვარტალური დაყოფით და მტკიცდება საოლქო (სამხარეო) სამიწათმოქმედო განყოფილებათა მიერ არა უგვიანეს 1-ლი თებერვლისა. მანქანა-ტრაქტორების სადგური, ხელმძღვანელობს რა დამტკიცებული საწარმოო-საფინანსო გეგმით, ხელშეკრულებებს სდებს კოლმეურნეობებთან.

7. მტს-ის საწარმოო-საფინანსო გეგმით გათვალისწინებულ უნდა იქნას როგორც სავალდებულო დავალება: საწარმოო სასოფლო-სამეურნეო სამუშაოთა მოცულობა მათი სახეების, ხარისხისა და შესრულების ვადების მიხედვით; მოსავლიანობის რაოდენობა ძირითადი კულტურების მიხედვით; სატრაქტორო სამუშაოთა, ლეწვისა და მოსავლის კომბაინით აღების თვითღირებულება; ტრაქტორებისა და სხვა სასოფლო-სამეურნეო მანქანების რემონტი.

8. ლიკვიდირებულ იქნას დაუშვებელი პრაქტიკა, როდესაც საწვავი მასალის ყალბი ეკონომიის გულისათვის მანქანა-ტრაქტორების ბევრი სადგური მინდვრის სამუშაოთა დაწყებას, როგორც წესი, აგვიანებს 3-4 დღით; აჭიანურებს თესვას მთელი თვით და კიდევ მეტით, ნაცვლად იმისა, რომ მოკლე ვადებში ჩაატაროს იგი; საჭირო ღრმა ხვნის ნაცვლად ზერელედ ხვნას ეწევა; ანეულს დროზე არა ხნავს და არ ამუშავებს, რაც ძირს უთხრის მოსავლიანობის გადიდებას.

9. დაევალოს მტს-ების დირექტორებს ზუსტად შეასრულონ სსრ კავშირის მთავრობისა და მიწსახკომის მითითებანი ცალკეული სასოფლო-სამეურნეო რაიონებისათვის თესვის ჩატარების ვადების, ხვნის სიღრმის, ანეულის ვადების, მისი დამუშავების, მძრალად ხვნის ვადებისა და ხარისხის, მოსავლის აღების ორგანიზაციის ვადებისა და წესის შესახებ.

10. მინდვრის სამუშაოთა ადრეული დაწყების უზრუნველსაყოფად და ხვნის დროს წინასახნისიანი გუთნის გამოსაყენებლად, რაც საწვავი მასალის დიდ ხარჯს მოითხოვს ჩვეულებრივ ნორმებთან შედარებით, გავრცელებულ იქნას ყველა მტს-ზე საწვავი მასალის ხარჯის ნორმების შემდეგი გადიდება, რომელიც სსრ კავშირის სახკომსაბჭოს და საკ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის დადგენილებით გათვალისწინებულია სსრ კავშირის სამხრეთ-აღმოსავლეთის გვალვიანი რაიონებისათვის: მძრალად ნახნავის დასაფარცხავად მინდვრის სამუშაოთა დაწყებიდან პირველ 2 დღეში გადიდება 15 პროცენტით; საგაზაფხულო თესვისა და კულტივაციის ჩასატარებლად პირველ 6 დღეში—10 პროცენტით; წინასახნისიანი გუთნებით ხვნის მთელს პერიოდში—6 პროცენტით.

11. სსრ კავშირის სამხრეთის ველიან რაიონებში 20-22 სანტიმეტრ სიღრმით ხვნის უზრუნველსაყოფად თვითეულ ჰექტარ მძრალად ნახნავსა და ანეულზე დაწესდეს საწვავი მასალის ხარჯის შემდეგი გადიდებული ნორმები:

	სტზ-ხტზ	ჩტზ-ლიგრ	სტზ-ნატი	ჩტზ-დიზ
1. ოდესის ოლქი	21,3	16,8	17,7	11.5
2. ნიკოლაევის ოლქი	21.3	16,8	17,7	11,5
3. დნეპროპეტროვსკის ოლქი	21,3	16,8	17,7	11,5
4. სტალინის ოლქი	21,3	16.8	17.7	11.5
5. ვოროშილოვგრადის ოლქი	21.3	16,8	17,7	11.5
6. როსტოვის ოლქი	21,4	16,8	17,7	11,5
7. ორჯონიკიძის მხარე	21,3	16,8	17,7	11,5
8. კრასნოდარის მხარე	21,5	16,8	17,7	11,5

12. ფარცხვის, კულტივაციისა და თესვის მოკლე ვადებში ჩატარებისათვის ტრაქტორისტთა და კოლმეურნეთა წასახალისებლად შემოღებულ იქნას შემდეგი დამატება ტრაქტორისტთა და კოლმეურნეთა შრომის ანაზღაურების წესისადმი: მტს-ების ტრაქტორისტებსა და კოლმეურნეებს საადრიო საგაზაფხულო ფარცხვაზე პირველ ორ დღეში მუშაობისათვის და კულტივაციასა და საგაზაფხულო თესვაზე პირველ ექვს დღეში მუშაობისათვის შრომადღეები დაერიცხოს ორმაგი რაოდენობით.

13. ხვნის დაწესებული სიღრმის დარღვევის აღკვეთის მიზნით:

ა) დაევალოს მტს-ებისა და რაიმიწგანების აგრონომებს მოხვნის სიღრმისა და ხარისხის შემოწმება.

ბ) წინადადება მიეცეს კოლმეურნეობათა გამგეობებს გამოჰყონ გამოცდილი კოლმეურნეები მტს-ების ტრაქტორისტებისაგან ნახნავის მისაღებად და ზერელე ხვნის გამოაშკარავების ყველა შემთხვევაში შეადგინონ აქტები, რომლებიც დაუყოვნებლივ უნდა გადასცენ რაიაღმასკომებს განსახილველად.

გ) დაევალოთ რაიაღმასკომებს ერთი დეკადის ვადაში განიხილონ კოლმეურნეობათა განცხადებანი ხვნის სიღრმის დარღვევის შესახებ და, მათი დადასტურების შემთხვევაში, მტს-ებს უნდა დაეკისროთ კოლმეურნეობის წინაშე პასუხისმგებლობა, რომელიც გათვალისწინებულია მტს-ის მიერ კოლმეურნეობასთან დადებული ხელშეკრულებით, ხოლო მტს-ის მიერ არაკეთილხარისხოვან ხვნაზე გაწეული ხარჯების ღირებულება დაკავებული იქნება მტს-ისათვის გასაცემ მორიგ ასიგნობათა დროს.

დ) იმ ტრაქტორისტებს, რომლებიც დაარღვევენ ხვნის დაწესებულ სიღრმეს, დაეკავოთ დაწუნებულ სამუშაოზე დახარჯული საწვავი მასალის ღირებულების 50 პროცენტი, ხოლო სატრაქტორო ბრიგადის ბრიგადირს—10 პროცენტი.

14. მტს-ების მუშაკებისათვის შემოღებული იქნას შემდეგი პრემიები, რომლებიც გაიცემა წელიწადში ერთხელ IV კვარტალში, სამხარეო (საოლქო) სამიწათმოქმედო განყოფილებების ან რესპუბლიკათა მიწსახკომების განკარგულებით:

ა) იმ შემთხვევაში, როცა მტს შეასრულებს სასოფლო-სამეურნეო სამუშაოთა დამტკიცებულ წლიურ გეგმას და უზრუნველჰყოფს კუთვნილი ნატურანაზღაურების ვადაში ჩაბარებას კოლმეურნეობათა მიერ, მტს-ის დირექტორი, მტს-ის დირექტორის მოადგილეები, უფროსი აგრონომი, უფროსი მექანიკოსი და მთავარი ბუღალტერი თვითეული ღებულობს პრემიას თავისი თვიური ხელფასის რაოდენობით;

ბ) იმ შემთხვევაში, როცა მიღწეული იქნება მტს-ისათვის დამტკიცებული წლიური გეგმით გათვალისწინებული საშუალო მოსავლიანობა, რაც უნდა დადასტურდეს იმ ფაქტით, რომ ის კოლმეურნეობანი, რომლებსაც მომსახურებას უწევს მტს, მიეკუთვნებიან მტს-ის გეგმით გათვალისწინებულზე არანაკლები მოსავლიანობის ჯგუფებს — პრემია ეძლევათ იმავე პირებს ორი თვის ხელფასის რაოდენობით.

გ) იმ შემთხვევაში, როცა საშუალო მოსავლიანობის გეგმა 10 პროცენტზე არანაკლები გადაჭარბებით სრულდება, რაც უნდა დადასტურდეს იმ ფაქტით, რომ ის კოლმეურნეობანი, რომლებსაც მომსახურებას უწევს მტს, მიეკუთვნებიან ისეთი მოსავლიანობის ჯგუფებს, რომელიც 10 პროცენტით მაინც აღემატება მტს-ების გეგმით გათვალისწინებულ მოსავლიანობას, — პრემია ეძლევათ იმავე პირებს სამი თვის ხელფასის რაოდენობით.

მტს-ის ის მუშები და მოსამსახურეები, რომლებმაც თავი გამოიჩინეს მუშაობაში, მტს-ის დირექტორის შეხედულებისამებრ ჯილდოვდებიან შესაბამისად ორი კვირის ხელფასიდან ორი თვის ხელფასამდე.

15. აღნიშნული პრემიები გაიცემა მტს-ების საპრემიო ფონდიდან, რომელიც იქმნება კოლმეურნეობათა მიერ თვითეულ ცენტნერში გაღებული ნატურანაზღაურების ანარიცხებიდან, სატრაქტორო სამუშაოებისა და ლეწვის მთლიანად და გადაჭარბებით შესრულებისათვის სსრ კავშირის მიწსახკომის რეზერვის ხარჯზე გაღებული ანარიცხებიდან, აგრეთვე მტს-ების საწარმოო გეგმით გათვალისწინებული ხარჯების ეკონომიის ანარიცხებიდან.

დადგენილ იქნას ზემოაღნიშნულ გადარიცხვათა შემდეგი წესი:

ა) კოლმეურნეობათა მიერ გაღებული ნატურანაზღაურების დანარიცხების შეტანა მტს-ების საპრემიო ფონდში ხდება დამამზადებელ პუნქტებში ჩაბარებულ თვითეულ ცენტნერ პროდუქციაზე შემდეგი რაოდენობით: მარცვლეული და სიმინდი—30 კაპ., კარტოფილი—25 კაპ., შაქრის ჭარხალი—20 კაპ., ბრინჯი და მზესუმზირა—1 მან., საფლორი, კოლზი და მდოგვი—2 მან., ბამბა (ნედლი), აბუსალათინი, სოია, იონჯა (თესლი), ჩრდილოეთის კანაფი (ბოჭკო), ჩრდილოეთის კანაფი (თესლი), საზეთე სელი (თესლი)—2 მან., საბოჭკოე სელი (ბოჭკო), საბოჭკოე სელი (თესლი)—3 მან., სამხრეთის კანაფი: ტურბინისებრი ღერო—80 კაპ., ქულისებრი ღერო—50 კაპ., თესლი—3 მან., კენაფი: ღერო—80 კაპ., თესლი—3 მან. შვია: ბოჭკო—1 მან., თესლი—3 მან.

ჩაბარებული ნატურანაზღაურების ანარიცხებს რაიფინგანყოფილებანი გადარიცხავენ მტს-ების ანგარიშზე სახბიუჯეტში ნატურანაზღაურების ხაზით შემოსული თანხებიდან, დამამზადებელი ორგანიზაციების მიერ იმ კოლმეურნეობებისაგან მიღებული ნატურანაზღაურების რაოდენობის შესახებ შედგენილი დეკადობრივი ცნობების საფუძველზე, რომელთაც მომსახურებას უწევს მოცემული მტს-ი;

ბ) მანქანა-ტრაქტორთა სადგურის მიერ სატრაქტორო სამუშაოთა და ლეწვის გეგმის შესრულების დროს თვითეულ ჰექტარ სამუშაოზე, პირობით ხვნაზე გადაყვანით, და სალეწი მანქანებით გალეწილი მარცვლის თვითეულ 5 ტონაზე ცალკე, მტს-ის საპრემიო ფონდში გადაირიცხება 20 კაპ. გეგმის გადამეტებით შესრულებული თვითეული ჰექტარი პირობითი ხვნისათვის, ხოლო სალეწი მანქანებით გეგმის გადამეტებით გალეწილი თვითეული 5 ტონა მარცვლისათვის—40 კაპ.

ანარიცხები სატრაქტორო სამუშაოთა და ლეწვის გეგმის მთლიანად და გადაჭარბებით შესრულებისათვის მტს-ებს ეძლევათ სსრ კავშირის მიწსახკომის რეზერვიდან საოლქო და სამხარეო სამიწათმოქმედო განყოფილებათა საშუალებით, მინდვრის სამუშაოთა დამთავრების შემდეგ, მაგრამ არა უგვიანეს მოცემული წლის 1 დეკემბრისა.

გ) სამუშაოთა გეგმის შესრულების დროს მტს-ის საწარმოო - საფინანსო გეგმით დაწესებულ ხარჯთა სახსრების ეკონომიიდან ეძლევა 75 პროცენტი. ეს სახსრები მტს-ს სახელმწიფო ბიუჯეტიდან ეძლევა სამხარეო (საოლქო) სამიწათმოქმედო განყოფილებებისა და რესპუბლიკათა მიწსახკომების მიერ მტს-ის წლიური ანგარიშის დამტკიცების შემდეგ.

16. ამ დადგენილების საფუძველზე გაუქმდეს სსრ კავშირის მიწსახკომის, ფინსახკომისა და სახელმწიფო ბანკის 1938 წლის 30 დეკემბრის ინსტრუქცია მტს-ების საპრემიო ფონდში გადარიცხვების შესახებ.

სსრ კავშირის სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარე

ვ. მოლოტოვი

საკ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის მდივანი

ი. სტალინი

1939 წლის 13 იანვარი.

მარცვლეული კულტურების ხაზით მტს-ების მიერ შესრულებულ სამუშაოთა ნატურანაზღაურების დარიცხვის წესის შესახებ

სსრ კავშირის სახალხო კომისართა საბჭოს და საკ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის დადგენილება.

სსრ კავშირის სახალხო კომისართა საბჭო და საკ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტი **ადგენენ:**

1. გაუქმდეს რაიონული კომისიები, რომლებსაც ეკისრებოდათ კოლმეურნეობათა მიკუთვნება მოსავლიანობის ჯგუფებისადმი მტს-ების მიერ შესრულებულ სამუშაოთა ნატურანაზღაურების დასარიცხად.

2. მტს-ების მიერ შესრულებულ სამუშაოთა ნატურანაზღაურების დასარიცხად მოსავლიანობის ჯგუფებისადმი კოლმეურნეობათა მიკუთვნება დაეკისროთ საოლქო და სამხარეო აღმასკომებს და იმ რესპუბლიკათა სახკომსაბჭოებს, რომლებსაც საოლქო დაყოფა არა აქვთ.

3. დაწესდეს, რომ ერთი რაიონის კოლმეურნეობანი მარცვლეული კულტურების ხაზით მტს-ების მიერ შესრულებულ სამუშაოთა ნატურანაზღაურების დასარიცხად მიეკუთვნებიან მოსავლიანობის ერთერთ ჯგუფს. იმ შემთხვევაში, თუ მოსავალი რაიონში მეტად არათანაბარია, გამონაკლისის სახით დაიშვება ერთი რაიონის ცალკეულ კოლმეურნეობათა მიკუთვნება მოსავლიანობის სხვა ჯგუფებისადმი.

4. გაუქმდეს მტს-ების მიერ შესრულებულ სასოფლო-სამეურნეო სამუშაოთა კომპლექსის წესით ანაზღაურება კოლმეურნეობების მხრივ და დაწესდეს, 1939 წლის მოსავლიდან დაწყებული, ცალკეული სახის სამუშაოთა ანაზღაურება განაკვეთების მიხედვით.

5. შეტანილ იქნას შემდეგი ცვლილებანი მარცვლეული კულტურების ხაზით მტს-ების მიერ შესრულებულ სამუშაოთა ნატურანაზღაურების მომქმედ განაკვეთებში:

ა) 1 პროცენტით შემცირდეს სალეწი მანქანებით ლეწვის ნატურანაზღაურების მომქმედი განაკვეთები, ამასთან გალეწვის ნატურანაზღაურების განაკვეთები დაწესდეს სალეწი მანქანებით გალეწილი მთელი მარცვლეულის 6 პროცენტის რაოდენობით, ნაცვლად 7 პროცენტისა; იმ ოლქებში, სადაც მომქმედი განაკვეთი 6 პროცენტს შეადგენს, დაწესდეს განაკვეთი 5 პროცენტის რაოდენობით, და იმ ოლქებში, სადაც მომქმედი განაკვეთი 5 პროცენტს შეადგენს, დაწესდეს განაკვეთი 4 პროცენტის რაოდენობით;

ბ) ერთიორად შემცირდეს მარცვლეული კულტურების ხაზით აოშვის ნატურანაზღაურების მომქმედი განაკვეთები, ამასთან აოშვაზე გავრცელდეს დისკოებიანი კულტივატორებით ნიადაგის დამუშავებისა და კულტივაციის ნატურანაზღაურების არსებული განაკვეთები;

გ) გადიდებულ იქნას განაკვეთები ანეულის ხვნისა და მძრალად ხვნისათვის, ამასთან ანეულის ხვნასა და მძრალად ხვნაზე გავრცელდეს მარცვლეული კულტურების ხაზით საგაზაფხულო ხვნის ნატურანაზღაურების არსებული განაკვეთები;

დ) ნატურანაზღაურების დასარიცხად დაწესდეს მოსავლიანობის ახალი ჯგუფი, რომლის მოსავალი შეადგენს ჰექტარზე 15 და მეტ ცენტნერ მარცვლეულ კულტურებს, და გაუქმდეს ერთ ჰექტარზე 3 ცენტნერამდე მოსავლიანობის ჯგუფი;

ე) ფულადი ანაზღაურების ნაცვლად დაწესდეს ნატურალური ანაზღაურება ვიმ-2 მარცვალმწმენდ დანადგარებზე მარცვლის დახარისხებისათვის მთელი დახარისხებული მარცვლის 2 პროცენტის რაოდენობით პირველი გატარებისას და 1 პროცენტის რაოდენობით თვითეული შემდგომი გატარებისას და რთულ სალეწ მანქანებზე — 1,5 პროცენტის რაოდენობით.

6. მიღებულ იქნას 1939 წლის 1 იანვრიდან სახელმწიფოს ხარჯზე საგარანტიო ფულადი მინიმუმის (2 მან. 50 კაპ. შრომა-დღეზე) ანაზღაურება ტრაქტორისტებისა, ტრაქტორისტთა ბრიგადირებისა და მათი თანაშემწეებისათვის, ამასთან კოლმეურნეობას ისევ ეკისრება ვალდებულება, გადაუხადოს ამ მუშაკებს საგარანტიო ფულადი ანაზღაურებისა და შრომადღის ფულადი ნაწილის ფაქტიური ღირებულების განსხვავება იმ შემთხვევაში, როცა ეს ღირებულება საგარანტიო მინიმუმს აღემატება, აგრეთვე გადაუხადოს მათ შრომადღის ნატურალური ნაწილი.

სსრ კავშირის სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარე

ვ. მოლოტოვი

საკ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის მდივანი

ი. სტალინი

1939 წლის 13 იანვარი

ხელოვნების მუშაკთა კრება მოსკოვში

მ. ი. კალინინის გამოსვლა

მოსკოვი, 14 იანვარი (საკდესი). 9 იანვარს, დიდი თეატრის ფილიალის შენობაში, შესდგა ქალაქ მოსკოვის ხელოვნების მუშაკთა კრება, რომელიც მიეძღვნა მარქსისტულ-ლენინური თეორიის დაუფლების საკითხს. კრებას მოკლე შესავალი სიტყვით ხსნის ხელოვნების მუშაკთა კავშირის ც. კ-ის თავმჯდომარე ამხ. პაშკოვსკი.

დამსწრენი მხურვალედ შეეგებნენ კრებაზე მოსულ ამხანაგ კალინინს.

კრებაზე გამოვიდნენ რესპუბლიკის სახალხო არტისტი სუდაკოვი, რესპუბლიკის დამსახურებული არტისტი გაბოვიჩი, ხელოვნების დამსახურებული მოღვაწე გერასიმოვი და რესპუბლიკის სახალხო არტისტი მიხოელსი, რომლებმაც თავის სიტყვებში აღნიშნეს, თუ რა უდიდეს ძალას ჰმატებს მათს შემოქმედებითს მუშაობას მარქსისტულ-ლენინური თეორიის შეთვისება, თუ როგორ აფართოებს იგი გონებრივ ჰორიზონტს, როგორ ამდიდრებს მათს შემოქმედებითს მუშაობას.

შემდეგ ბრწყინვალე სიტყვა წარმოსთქვა მ. ი. კალინინმა. დამსწრენი მას ტაშისცემით ხშირად აწყვეტინებდნენ სიტყვას. შეკრებილებმა განსაკუთრებული ყურადღებით მოისმინეს ამხ. კალინინის გამოსვლა.

— სათეატრო ხელოვნება, — ამბობს ამხ. კალინინი, — ჩემი აზრით, ლიტერატურის უახლოესი ნათესავია. მაგალითისათვის ავიღოთ ვილიამ შექსპირი — მის შემოქმედებაში ლიტერატურა და სათეატრო ხელოვნება ერთ მთელს წარმოადგენენ.

რუსულ ლიტერატურას ფრიად საპატიო ადგილი უკავია მსოფლიო ლიტერატურაში, და მან ბევრი რამ შექმნა საერთო - საკაცობრიო კულტურისა და აზრის განსავითარებლად. ისეთი რუსი მწერლები, როგორიც არიან პუშკინი, ბელინსკი, ჩერნიშევსკი, დობროლიუბოვი, ნეკრასოვი, გორკი და მრავალი სხვა, ერთი მხრივ, არიან დიდი ხელოვანნი, ხოლო მეორე მხრივ — ფიქრთა მპყრობელნი: მათი ნაწარმოებნი ღრმა სოციალური შინაარსით იყვნენ აღსავსე. რუსული მოწინავე ლიტერატურა ეხებოდა საკითხს, თუ როგორ უნდა გაუმჯობესდეს ჩაგრული, მშრომელი მასების, ღარიბების ცხოვრება. იგი იტაცებდა მოწინავე ადამიანებს. თავისი არსებით იგი ღრმად ხალხური ლიტერატურა იყო.

აი რატომ არის, — ამბობს ამხანაგი კალინინი, — რომ ამჟამად, როცა თქვენ თავის წინაშე აყენებთ კითხვას, თუ როგორ უნდა ემსახუროთ ხალხს უკეთ, ზედმეტი არ იქნება მივმართოთ წარსულს და ვნახოთ, როგორ ემსახურებოდა ხალხს რუსული მოწინავე მხატვრული ლიტერატურა.

ჩვენი მხატვრული ლიტერატურა, ჩვენი თეატრი, ჩვენი მუსიკა, ჩვენი ფერწერა თავისი საუკეთესო წარმომადგენლების სახით არასოდეს არ ივიწყებდნენ მაღალ მიზანს — თავისი შემოქმედებითი სამსახური გაეწიათ ხალხისათვის. მართალია თუ არა ეს? (დამსწრეთა საერთო შეძახილი: „მართალია!“). თუ მართალია, თქვენ წმინდად უნდა შეინახოთ და განავითაროთ ეს სახელოვანი ტრადიციები.

ჩვენს ქვეყანაში ხელმძღვანელ ძალას მუშათა კლასი წარმოადგენს. საბჭოთა კავშირის მთელი მატერიალური და კულტურული სიმდიდრე ხალხს ეკუთვნის. ჩვენ, ვხელმძღვანელობთ რა მარქსიზმ-ლენინიზმის მეცნიერულ-რევოლუციურ თეორიით, ვაშენებთ სოციალიზმს, მაგრამ, როგორც ამბობს მარქსი, „თვითეულ ეპოქაში გაბატონებული კლასის აზრები გაბატონებული აზრებია...“ მაშასადამე, თუ საბჭოთა ინტელიგენციას სურს დაიკავოს თავისი შესაფერი ადგილი, ჩამოაყალიბოს მოწინავე აზრი, წინ წასწიოს კაცობრიობის აზრი და დაიკავოს ხელმძღვანელი ადგილი სოციალისტურ მშენებლობაში, იგი ბოლომდე უნდა დაეუფლოს ჩვენი საზოგადოების ხელმძღვანელი კლასის მსოფლმხედველობას.

— იმისათვის, რომ პრაქტიკულად რაც შეიძლება უფრო ეფექტიურად ემსახურო ხალხს, — ამბობს შემდეგ ამხანაგი კალინინი, — საჭიროა, ჯერ ერთი, დაეუფლო მარქსისტულ-ლენინური თეორიის თუნდაც საფუძვლებს, შემდეგ საჭიროა ისწავლო ამ თეორიის გამოყენება შენს პრაქტიკულ მუშაობაში.

საბჭოთა წყობილება უკვე მესამე ათეული წელიწადია არსებობს. ჩვენი საზოგადოების ხელმძღვანელი კლასის იდეოლოგია — მარქსიზმ-ლენინიზმი — რაც შეიძლება უფრო სრულად უნდა შეითვისოს ჩვენმა ინტელიგენციამ. მარქსიზმ-ლენინიზმი ისეთი თეორიაა, რომელიც არაჩვეულებრივად ამდიდრებს ადამიანის გონებას, აფართოებს მის შემოქმედებითს ჰორიზონტს.

მ. ი. კალინინის გამოსვლის დამთავრების შემდეგ შეკრებილებმა მას მხურვალე ოვაცია გაუმართეს.

17 იანვარს დაიწყება მოსახლეობის სრულიად-საკავშირო აღწერა


იანვარი
17
მოსახლეობის სრულიად საკავშირო აღწერის დასაწყისი

აღწერისათვის მზადების ქრონიკა

ახალქალაქი, 11 იანვარი. ახალქალაქის რაიონში გაცხოველებით ემზადებიან მოსახლეობის აღწერისათვის. საალწერო უბნები კარგად არის მოწყობილი. რაიონის ყველა სოფლის საალწერო უბნებში შემოღებულია მორიგეობა. ტარდება ლექციები და კონსულტაციები. სასოფლო საბჭოებისა და კოლმეურნეობათა თავმჯდომარეებმა სპეციალურ თათბირზე განიხილეს აღწერისათვის მზადების საკითხი.

○

სიღნაღი, 11 იანვარი. 500 აგიტატორი — მასწავლებლები, აგრონომები, რაიონული და სასოფლო საბჭოების დეპუტატები ეწევიან ახსნა-განმარტებით მუშაობას მოსახლეობის აღწერის მნიშვნელობის შესახებ. საალწერო უბნები უზრუნველყოფილია ბინით, ინვენტარით, განათებით. ყველა საალწერო განყოფილება გაფორმებულია ლოზუნგებით და პლაკატებით.

სასოფლო საბჭოებში გაჩაღებულია შეჯიბრება აღწერის უკეთ ჩატარებისათვის. ქვემო-მაჩხაანის სასოფლო საბჭომ შეჯიბრებაში გამოიწვია ბოდბისხევის სასოფლო საბჭო.

○

ფოთი, 12 იანვარი (საკ. კორ.). ფოთი მზად არის მოსახლეობის აღწერისათვის. 12 იანვარს დილის 9 საათიდან ყველა ამწერებმა და ინსტრუქტორ-კონტროლიორებმა დაიწყეს წინასწარი შემოვლა თავიანთ უბნებში კარგად მუშაობენ ინსტრუქტორ-კონტროლიორები ვ. შუბლაძე, ბ. ბელაია და ი. ლაკირბაია. სამკითხველოებში, ნავსადგურისა და ნავსადგურის კლუბში სისტემატურად ტარდება აგიტაცია აღწერის საკითხებზე.

ინსტრუქტორ-კონტროლიორები უზრუნველყოფილი არიან ბინებით. სატრანსპორტო საშუალებებით და საალწერო ინვენტარით.

⊙

თიანეთი, 13 იანვარი (საკ. კორ.). რაიონს მოსახლეობის სრულიად-საკავშირო აღწერისათვის მზადებაში ჯერ კიდევ სერიოზული დეფექტები აქვს. არა ჰყავთ აღწერის კადრებისათვის საჭირო 12 ცხენი.

სიმონიანთ-ხევისა და ღულების სასოფლო საბჭოებში აგიტ-მასობრივი მუშაობა მივიწყებულია. მდგომარეობა სერიოზულ ყურადღებას მოითხოვს.

○

მახარაძე, 13 იანვარი (საკ. კორ.). მახარაძის რაიონში მოსახლეობის სრულიად-საკავშირო აღწერისათვის მზადება ჯერ კიდევ არადამაკმაყოფილებლად მიმდინარეობს.

მერიის სასოფლო საბჭოს თავმჯდომარე გ. გოგიტიძე გულგრილად ეკიდება აღწერის საქმეს. ინსტრუქტორ-კონტროლიორებს არა ჰყავთ ცხენები, რაც ხელს უშლის შორეულ უბნებში აღწერის საქმის ხელმძღვანელთათვის დახმარების გაწევას.

აღწერის მნიშვნელობის შესახებ აგიტაცია-პროპაგანდას მთლიანად მოკლებულია ადგილობრივი მრეწველობის 32 რუსი მუშა, ხოლო ლიხაურის სასოფლო საბჭოს თავმჯდომარე ამხ. შ. ურუშაძე ამ მდგომარეობას უყურადღებოდ სტოვებს.

ზოგიერთი საწარმო - დაწესებულების ხელმძღვანელი სამუშაოდან არ ათავისუფლებს ამწერებს; მაგალითად, სახბანკის რაიგანყოფილების მმართველმა ამხ. ი. მუჯირმა არ გაანთავისუფლა ქალაქის მე-4 უბნის ამწერი თ. ცერცვაძე.



ამწერთა მკერდის ნიშანი

მზადება აფხაზეთში

(სოხუმი. ტელეგრაფით საკ. კორესპონდენტისაგან)

აფხაზეთის ასს რესპუბლიკაში სულ 725 საალწერო უბანია, ამათგან წინასწარ შემოსავლელია 545. 12 იანვარს ამწერებმა დაიწყეს უბნების შემოვლა. 545 ამწერიდან შემოვლა დაიწყო 515. მუშაობა არ დაუწყია 30 ამწერს.

ქ. სოხუმში შემოვლა არ დაუწყია ფინსახკომის თანამშრომელს, ამწერ ვინოგრადოვს, რადგანაც ის სამუშაოდან არ გაანთავისუფლა ფინსახთა სახ. კომისარმა ბგანბამ. ოჩამჩირის რაიონში 21 ამწერს არ დაუწყია წინასწარი შემოვლა, რადგანაც მათ არ ჰქონდათ სოფლის მოსახლეობის ამწერის უბის წიგნაკები, რომლებიც აღრიცხვის ყოფილმა რაიინსპექტორმა მახარაძემ განიავა. მიღებულია ყველა ზომები მდგომარეობის გამოსასწორებლად.

გ. მერკვილაძე

სახლების წინასწარი ჩამოვლა თბილისში

კიროვის რაიონში

12 იანვარს კიროვის რაიონში დილიდანვე დაიწყეს მუშაობა კიროვის სახელობის რაიონის საალწერო განყოფილებებმა. 4 პუნქტში შეიკრიბა რაიონის ყველა 173 ამწერი. უბნების წინასწარი ჩამოვლის დაწყებამდე საამწერო განყოფილებათა გამგეებმა და ინსტრუქტორ-კონტროლიორებმა ჩაატარეს ამწერთა დამატებითი ინსტრუქტაჟი.

8 საათსა და 30 წუთზე დაიწყო ჩამოვლა — აღწერისათვის მოსახლეობის მზადყოფნის შემოწმება. ყველა სახლში ამწერნი ადარებდნენ ბინებისა და მცხოვრებთა რაოდენობის იმ მასალას, რომელიც შეტანილია ამწერის უბის წიგნში.

ამწერებმა ხელშემწყობი კომისიების წევრთა და რაისაბჭოს დეპუტატთა დახმარებით ხელახლა დანომრეს ყველა ბინა.

გვიან საღამოს კიროვის სახელობის რაისაბჭოს აღწერის ბიუროში უკვე ბრუნდებოდნენ ის ამწერნი, რომელთაც დაამთავრეს თავიანთი უბნების წინასწარი ჩამოვლა. ისინი ჩამოვლის შედეგებს აცნობდნენ ინსტრუქტორ - კონტროლიორებს.

ამწერს, სამედიცინო ინსტიტუტის სტუდენტს, კომკავშირელს ვასილ მანსვეტაშვილს წესიერად აქვს შეტანილი უბის წიგნაკში მის მიერ სახლთა ჩამოვლის დროს გამოვლინებული დადებითი და უარყოფითი მომენტები. მის უბანში ნავარაუდევი 7 საცხოვრებელი შენობის ნაცვლად აღმოჩნდა 8. დაზუსტებულია ბინების რაოდენობაც. თვითეულ სახლში ყოველი ბინის ნომრის გვერდით ამხ. მანსვეტაშვილს დასმული აქვს ნიშანი: „ვნახავ 17 იანვარს საღამოს 8 საათზე", „დილის 11 საათზე", „დილის 8 საათზე" და სხვ. ყველა მობინავეს იგი უკვე შეუთანხმდა, თუ რომელ საათზე შეავსებს მათთან საამწერო ფურცელს 17 იანვარს. ამხ. მანსვეტაშვილს აღნიშნული აქვს აგრეთვე გვარები აქტივისტების, აგიტატორებისა და დეპუტატებისა, რომლებიც დიდ დახმარებას უწევენ მას აღწერის სამზადისის ჩატარებაში.

ამწერები ყველგან ატარებდნენ საუბრებს, განმარტავდნენ აღწერის მნიშვნელობასა და მისი ჩატარების წესს. (საქდესი)

თბილისის სადგურზე არ მომზადებულან აღწერისათვის

ამიერკავკასიის რკინიგზაზე დაიწყო ამწერთა ბრიგადების საცდელი გასვლა წასასვლელ მატარებლებზე. მატარებლებში აღწერა მოეწყობა ღამით, სამი საათის განმავლობაში. საცდელი გასვლა მატარებელზე იმისათვის ეწყობა, რომ ამწერნი გაეცნონ იმ ვითარებასა და პირობებს, რომლებშიც მათ მოუხდებათ მუშაობა აღწერის დღეს. მისი მიზანია აგრეთვე შეამოწმოს გზის მუშაკთა მზადყოფნა აღწერისათვის.

10 იანვარს თბილისის სადგურზე მოეწყო ამწერთა ბრიგადის პირველი საცდელი გასვლა წასასვლელ მატარებელზე.

25 კაცისგან შემდგარი ბრიგადა თავის დროზე გამოცხადდა და 4½ საათისათვის ადგილზე იყო. მაგრამ საცდელი გასვლის ხელმძღვანელმა საქართველოს სახალხო მეურნეობის აღრიცხვის სამმართველოს მუშაკმა ამხ. თოდრიამ წინასწარ არ შეიტყო თუ როდის ჩამოაყენებდნენ და როდის გავიდოდა მატარებელი; ამიტომ მატარებელი 15 წუთით ადრე გავიდა ბრიგადის პერონზე გასვლამდე. სადგურის მუშაკებს არაფერი გაუკეთებიათ იმისათვის, რომ უზრუნველეყოთ დახმარება ბრიგადისათვის.

პერონზე ბრიგადას არ შეხვდნენ სადგურის პარტიული და პროფესიული ორგანიზაციების მუშაკები. (საქდესი).

მთავარი რამ დაავიწყდათ

ქედა, (საქდესი). მოსახლეობის აღწერის უკეთ ჩატარებისათვის ქედის რაიონმა შეჯიბრებაში გამოიწვია ქობულეთის რაიონი. გამოწვევა მიღებულია. მაგრამ აღწერისათვის მზადების ტემპები ქედის რაიონში ისეთია, რომ თუ შემდეგშიც ასე გაგრძელდა, საეჭვოა რაიონმა შეასრულოს ქობულეთთან დადებული ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებანი.

მართალია, რაიონში შედგენილია აღწერის ჩატარების გეგმა, განაწილებულია მომზადებული კადრები საინსტრუქტორო და საალწერო უბნებში, დამთავრებულია საკომლო წიგნების დაზუსტება, მაგრამ რაიონში დაავიწყდათ მთავარი რამ —მასობრივი ახსნა-განმარტებითი მუშაობა მოსახლეობას შორის. განსაკუთრებით სუსტად არის დაყენებული მასობრივი ახსნა-განმარტებითი მუშაობა ზვარის სასოფლო საბჭოში (სას. საბჭოს თავმჯდომარე ამხ მახარაძე), პირველი მაისის სასოფლო საბჭოში (თავმჯდომარე ამხ. სურმანიძე) და ალიკოღლების სასოფლო საბჭოში (თავმჯდომარე ამხ. შერვაშიძე).

აღწერის მზადებაში სრულიად არა ჩანს კომკავშირისა და პროფორგანიზაციების მონაწილეობა.

მზად ვარ აღწერისათვის

მოსახლეობის აღწერაში მონაწილეობას ვიღებ პირველად. ამიტომ ჩემთვის საჭირო იყო რაც შეიძლებოდა ენერგიული მუშაობა იმისათვის, რომ შემეთვისებინა აღწერის თეორიული და პრაქტიკული საკითხები.

ინსტრუქტაჟის მიღების დროს არცერთი საათი არ გამიცდენია. აღწერის საკითხებში ჩემი მომზადების დონე შეაფასეს „ფრიადზე". მარტო ინსტრუქტაჟით და აღწერის ინსტრუქციის წაკითხვით არ დავკმაყოფილებულვარ, სისტემატურად ვკითხულობდი ცენტრალურ პრესაში ვამოქვეყნებულ მასალებს, გულმოდგინედ დავამუშავე „აგიტატორის ბლოკნოტი".

თბილისის სტალინის რაიონის მეორე საალწერო განყოფილებაში (სადაც მე მიხდება მუშაობა) ჩატარდა ინსტრუქტორ-კონტროლიორებისა და ამწერების საინსტრუქტაჟო თათბირი. ამხანაგებმა ძალიან ბევრი საკითხი წამოაყენეს. მე მზად ვიყავი ყოველ კითხვაზე გამეცა პასუხი, ამ თათბირზე ერთხელ კიდევ შევამოწმე ჩემი მომზადება. ახლა შემიძლია ვანაცხადო, რომ მზად ვარ აღწერისათვის. მზად ვარ შევასრულო მთავრობისა და პარტიის დავალება — აღწერის დროს ჩემს საალწერო უბანში არ დავუშვა არცერთი შეცდომა, არ გამოვტოვო არცერთი მოქალაქე.

ამწერი **ნინა ჟამანაური**

არ იციან როდის დაიწყება აღწერა

თელავი, (საქდესი). ვარდისუბნის სასოფლო საბჭო სუსტად ემზადება მოსახლეობის სრულიად-საკავშირო აღწერისათვის. 24 აგიტატორიდან მხოლოდ ორმა მიიღო „აგიტატორის ბლოკნოტი", რომელიც შეიცავს სახელმძღვანელო სტატიებსა და მასალას აღწერის ჩატარების შესახებ. აგიტატორებმა ამხ. კვინტრაძემ, მარგალიტაშვილმა, ირემაულმა და მრავალმა სხვებმა, რომელნიც ვალდებული არიან მასობრივი ახსნა-განმარტებითი მუშაობა ჩაატარონ აღწერის მნიშვნელობის შესახებ, თითო-ოროლა საუბარი მოაწყეს მოსახლეობასთან. მრავალმა კოლმეურნემ —ნიკო ჯაშიაშვილმა, გიორგი ყარაულაშვილმა, ნიკო კობიაშვილმა, იოსებ ყარაულაშვილმა და სხვებმა ისიც კი არ იციან, თუ რა დღეს იწყება აღწერა.

კომინტერნის, ორჯონიკიძისა და მე-17 პარტყრილობის სახელობის კოლმეურნეობებში არ არის გამოყოფილი აღწერის ხელშემწყობი კომისია. კოლმეურნეობებში არ გამოდის აღწერის საკითხებისადმი მიძღვნილი კედლის გაზეთები, არ არის გაჩაღებული სოციალისტური შეჯიბრება საალწერო უბნებს შორის. ასეთივე მდგომარეობაა იყალთოს, ოჟიოს, რუისპირისა და სხვა სასოფლო საბჭოებში.



თბილისი. ლენინის რაიონის მე-4 საალწერო განყოფილების მუშაკები (მარჯვნიდან მარცხნივ) — ამხ. შ. ახობაძე, ვ. კაკიაშვილი, გ. მარიამული, გ. მჭედლიძე ამოწმებენ მასალებს აღწერისათვის. (საქდესის ფოტოქრონიკა)

კ. ლიბკნეხტი და რ. ლუქსემბურგი

(მკვლელობის 20 წლისთავისათვის)

1919 წლის 15 იანვარს ავაზაკურად მოჰკლეს გერმანიის რევოლუციური მუშების ბელადები, გერმანიის კომუნისტური პარტიის ორგანიზატორები — კარლ ლიბკნეხტი და როზა ლუქსემბურგი. მათ გაუსწორდნენ თეთრგვარდიელი ოფიცრები გერმანიის მთავრობის პირდაპირი მითითებით, რომლის სათავეშიაც მაშინ იდგნენ სოციალ-დემოკრატების ბელადები, გერმანული ბურჟუაზიის ერთგული ქოფაკები და ლაქიები — ებერტი, შეიდემანი და ნოსკე.

ქ. ლიბკნეხტი ჭაბუკობის წლებიდან მიემხრო რევოლუციურ მოძრაობას. მგზნებარე ტრიბუნი, რევოლუციური ახალგაზრდობის ბელადი, იგი გერმანიის რაიხსტაგის (პარლამენტის) ერთადერთი დეპუტატი იყო, რომელმაც სამხედრო კრედიტების წინააღმდეგ მისცა ხმა 1914 წელს. ომისსაწინააღმდეგო პროპაგანდისათვის ლიბკნეხტი არაერთხელ ჩაუმწყვდევიათ საპყრობილეში. ლიბკნეხტი გერმანიაში პირველი მიესალმა სიხარულით რუსეთის დიდი ოქტომბრის სოციალისტურ რევოლუციას. მისი თანამებრძოლი როზა ლუქსემბურგიც ახალგაზრდობიდან ასრულებდა თვალსაჩინო როლს ჯერ პოლონეთის, ხოლო შემდეგ გერმანიის პროლეტარიატის რევოლუციურ მოძრაობაში.

1919 წლის იანვრის დღეებში კონტრრევოლუციურმა ბურჟუაზიამ პროვოკაცია მოუწყო ბერლინის რევოლუციურ მუშებს და გამოიწვია მათი შეიარაღებული გამოსვლა. გერმანიის ბურჟუაზიამ დაავალა სამხედრო მინისტრს — სოციალ-ვამცემელ ნოსკეს სისხლის მორევში ჩაეხრჩო ეს გამოსვლა და მოესპო გერმანიის რევოლუციური პროლეტარიატის ბელადები — ქ. ლიბკნეხტი და რ. ლუქსემბურგი.

გერმანიის მთელმა კონტრრევოლუციურმა პრესამ, მათ შორის სოციალ - დემოკრატიულმა გაზეთმა „ფორვერტსმაც", გააფთრებული დევნა მოაწყო ლიბკნეხტისა და ლუქსემბურგის წინააღმდეგ, ისინი აშკარად მოუწოდებდნენ მათი მკვლელობისაკენ. მათ, ვინც მოჰკლავდა კარლსა და როზას, რომლებიც დევნას ემალებოდნენ, დიდ ჯილდოს ჰპირდებოდნენ. 15 იანვარს ლიბკნეხტი და ლუქსემბურგი დააპატიმრეს და იმავე დღეს, მხეცური წამების შემდეგ, ისინი მოჰკლეს. ამავე დღეებში მოჰკლეს აგრეთვე ასობით სხვა რევოლუციური მებრძოლნი.

ლიბკნეხტისა და ლუქსემბურგის მკვლელები არამცთუ არ დასაჯეს, არამედ ჯერ კიდევ სოციალ-დემოკრატიული მთავრობის დროს ისინი „ნაციონალურ გმირებად" გადააქციეს. ახლა ფაშისტურ გერმანიაში ეს ჯალათები კიდევ უფრო მეტი პატივით არიან მოსილნი და ფაშისტ დიქტატორების განსაკუთრებული წყალობით სარგებლობენ.

ქ. ლიბკნეხტისა და როზა ლუქსემბურგის მკვლელობით გერმანიის ბურჟუაზია ცდილობდა ჩანასახშივე მოესპო კომუნისტური მოძრაობა გერმანიაში. მაგრამ მან ეს ვერ მოახერხა. კავშირი „სპარტაკი", რომელიც ქ. ლიბკნეხტმა შექმნა და რომელს [illegible] ხელმძღვანელობდა, გაიზარდა გერმანიის მძლავრ კომუნისტურ პარტიად, რომელმაც ათასობით თავდადებული მებრძოლნი აღზარდა. ამ მებრძოლთა პირველ რიგებში ჩადგა გერმანიის პროლეტარიატის

საყვარელი ბელადი ამხ. ტელმანი, რომელიც ახლა დატყვევებულია ფაშისტ ბარბაროსთა მიერ. მიუხედავად ფაშისტური ტერორის კოშმარული პირობებისა, გერმანიის კომპარტია მძიმე არალეგალურ პირობებში გმირულად იბრძვის ერთიანი სახალხო ანტიფაშისტური ფრონტის შექმნისათვის.

კარლ ლიბკნეხტი და როზა ლუქსემბურგი შეცდომებს უშვებდნენ თავის პოლიტიკურ მოღვაწეობაში. ამისათვის მათ აკრიტიკებდნენ ლენინი და სტალინი. მიუხედავად მათი შეცდომების, ქ. ლიბკნეხტი და რ. ლუქსემბურგი მუშათა მოძრაობისა და კომუნისტური ინტერნაციონალის ისტორიაში შევიდნენ, როგორც თავდადებული მებრძოლნი მუშათა კლასის საქმისათვის.

მათი ხსოვნა მარად ცოცხალი იქნება.

სანიმუშო თემები საუბრებისა ვ. ი. ლენინის გარდაცვალების 15 წლისთავისათვის

I. ლენინი—საკავშირო კომუნისტური პარტიის (ბოლშევიკების) ორგანიზატორი და ბელადი.

ა) ლენინის რევოლუციური მოღვაწეობის დასაწყისი.

ბ) ლენინის ბრძოლა ბოლშევიკური პარტიის, ახალი ტიპის პარტიის შექმნისათვის.

გ) ლენინი და ბოლშევიკების პარტია ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის გამარჯვებისა და პროლეტარიატის დიქტატურის დამყარებისათვის ბრძოლაში.

დ) ლენინი და ბოლშევიკების პარტია სოციალისტური მშენებლობისა და უკლასო, სოციალისტური საზოგადოების აშენებისათვის ბრძოლაში.

ე) ლენინი როგორც ადამიანი და როგორც მოღვაწე.

ლენინი — მაღალი პრინციპულობის, ბრძოლაში უშიშარი და პარტიისა და ხალხის ყველა მტრებისადმი დაუნდობელი პოლიტიკური მოღვაწის ნიმუში.

ლენინის სიბრძნე ყველა საკითხის გადაჭრის დროს, პანიკის ყოველგვარი ნასახის უქონლობა. ლენინის სიყვარული ხალხისადმი, ურღმესი რწმენა მასებისადმი. ლენინი — უდიდესი თავდაბლობის ნიმუში.

ვ) ლენინისა და სტალინის დიადი მეგობრობა.

ლიტერატურა:

1. **ი. სტალინი.** ლენინის შესახებ. სახპოლიტგამომცემლობა. 1938.
2. **ი. სტალინი.** ლენინიზმის საკითხები („ლენინიზმის საფუძვლების შესახებ". თავი VIII და „ლენინიზმის საკითხებისათვის". თავი V). მე-10 გამოცემა. სახპოლიტგამომცემლობა. 1938.
3. **ი. ბ. სტალინი.** სიტყვა ქალაქ მოსკოვის სტალინის საარჩევნო ოლქის ამომრჩეველთა წინასაარჩევნო კრებაზე 1937 წლის 11 დეკემბერს. საკ. კ. პ. (ბ) ც. კ-ის პარტგამომცემლობა. 1937.
4. საკავშირო კომუნისტური პარტიის (ბოლშევიკების) ისტორია. მოკლე კურსი. საკ. კ. პ. (ბ) ც. კ-ის კომისიის რედაქციით. მოწონებულია საკ. კ. პ. (ბ) ც. კ-ის მიერ. 1938 წელი. სახპოლიტგამომცემლობა. 1938.

II. ლენინი - რევოლუციური თეორიის შემომქმედი მეცნიერების დიადი კორიფეი.

ა) ლენინი რევოლუციური თეორიის მნიშვნელობის შესახებ.

ბ) ლენინი — მეცნიერების დიადი კორიფეი.

გ) ლენინმა აღორძინა მარქსიზმი და შემდგომ განავითარა მარქს-ენგელსის მოძღვრება იმპერიალიზმის ეპოქის შესაბამისად.

„ლენინიზმი არის იმპერიალიზმისა და პროლეტარული რევოლუციის ეპოქის მარქსიზმი. უფრო ზუსტად: ლენინიზმი არის პროლეტარული რევოლუციის თეორია და ტაქტიკა საერთოდ, პროლეტარიატის დიქტატურის თეორია და ტაქტიკა განსაკუთრებით" **(სტალინი).**

დ) სტალინი — უდიდესი თეორეტიკოსი, მარქსის, ენგელსის, ლენინის განმგრძობი.

ე) „საკ. კ. პ. (ბ) ისტორიის მოკლე კურსი", რომელიც შექმნილია ამხანაგ სტალინის ხელმძღვანელობით და უშუალო მონაწილეობით, არის მარქსიზმ-ლენინიზმის დარგში ძირითად ცოდნათა ენციკლოპედია. საკ. კ. პ. (ბ) ისტორია არის მარქსიზმ-ლენინიზმი მოქმედებაში.

ვ) შემოქმედებითად დავეუფლოთ მარქსისტულ - ლენინურ თეორიას და წავწიოთ იგი წინ.

ლიტერატურა:

1. **ი. სტალინი.** ლენინიზმის საკითხები („ლენინიზმის საფუძვლების შესახებ". თავი III და „ლენინიზმის საკითხებისათვის". თავი I). მე-10 გამოცემა. სახპოლიტგამომცემლობა. 1938.
2. **ი. სტალინი.** ლენინიზმის საკითხები („საუბარი ამერიკის მუშათა პირველ დელეგაციასთან"). მე-10 გამოცემა. სახპოლიტგამომცემლობა. 1938.
3. **ი. ბ. სტალინი.** სიტყვა ქ. მოსკოვის სტალინის საარჩევნო ოლქის ამომრჩეველთა წინასაარჩევნო კრებაზე 1937 წლის 11 დეკემბერს. საკ. კ. პ. (ბ) ც. კ-ის პარტგამომცემლობა. 1937.
4. ამხანაგ სტალინის სიტყვა, წარმოთქმული უმაღლესი სკოლის მუშაკთა მიღებაზე კრემლში 1938 წლის 17 მაისს. სახპოლიტგამომცემლობა. 1938.
5. საკავშირო კომუნისტური პარტიის (ბოლშევიკების) ისტორია. მოკლე კურსი. საკ. კ. პ. (ბ) ც. კ-ის კომისიის რედაქციით. მოწონებულია საკ. კ. პ. (ბ) ც. კ-ის მიერ. 1938 წელი. (დასკვნა). სახპოლიტგამომცემლობა. 1938.
6. საკ. კ. პ. (ბ) ც. კ-ის დადგენილება „საკ. კ. პ. (ბ) ისტორიის მოკლე კურსის" გამოშვებასთან დაკავშირებით პარტიული პროპაგანდის დაყენების შესახებ". სახპოლიტგამომცემლობა. 1938.

III. ლენინი—მსოფლიოში პირველი მუშათა და გლეხთა სოციალისტური სახელმწიფოს შემქმნელი და მშენებელი.

ა) ლენინი — ოქტომბრის დიდი სოციალისტური რევოლუციის გამარჯვების ორგანიზატორი.

ბ) ლენინი — მსოფლიოში პირველი მუშურ - გლეხური სახელმწიფოს მშენებელი.

გ) სტალინური, მსოფლიოში ყველაზე დემოკრატიული, კონსტიტუცია ლენინის იდეების ხორცშესხმაა.

დ) ლენინი და სტალინი კაპიტალისტური გარემოცვის შესახებ.

ე) კაპიტალისტური გარემოცვა და მუშათა და გლეხთა სოციალისტური სახელმწიფოს შემდგომი განმტკიცების საჭიროება.

ვ) საბჭოთა ხალხის რევოლუციური სიფხიზლისა და მობილიზაციური მზადყოფნის ზრდა. სსრ კავშირის თავდაცვითი ძლიერების განმტკიცების ამოცანები.

ზ) საბჭოების ქვეყანა ლენინური გზით ამხანაგ სტალინის ხელმძღვანელობით მიდის კომუნიზმის სრული გამარჯვებისაკენ.

ლიტერატურა:

1. **ვ. ი. ლენინი.** თხზ. ტ. XXI, გვ. 371 — 383, 396 — 408, 429 — 440.
2. **ი. სტალინი.** ლენინიზმის საკითხები („ლენინიზმის საფუძვლების შესახებ". თავი IV). მე-10 გამოც. სახპოლიტგამომცემლობა. 1938.
3. **ი. ბ. სტალინი.** სსრ კავშირის კონსტიტუციის პროექტის შესახებ. მოხსენება სრულიად-საკავშირო საგანგებო VIII ყრილობაზე 1936 წლის 25 ნოემბერს. საკ. კ. პ. (ბ) ც. კ-ის პარტგამომცემლობა. 1936.
4. **ი. სტალინი.** პარტიული მუშაობის ნაკლოვანებებსა და ტროცკისტ და სხვათა ორგულთა ლიკვიდაციის ღონისძიებებზე. მოხსენება და საბოლოო სიტყვა საკ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის პლენუმზე 1937 წლის 3 — 5 მარტს. საკ. კ. პ. (ბ) ც. კ-ის პარტგამომცემლობა. 1937.
5. ამხ. ივანოვის წერილი და ამხანაგ სტალინის პასუხი. საკ. კ. პ. (ბ) ც. კ-ის პარტგამომცემლობა. 1938.
6. **ვ. მ. მოლოტოვი.** ოქტომბრის რევოლუციის XXI წლისთავი მოხსენება მოსკოვის საბჭოს საზეიმო სხდომაზე 1938 წლის 6 ნოემბერს. სახპოლიტგამომცემლობა. 1938.
7. საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის კონსტიტუცია (ძირითადი კანონი). საკ. კ. პ. (ბ) ც. კ-ის პარტგამომცემლობა. 1938.
8. საკ. კ. პ. (ბ) ც. კ-ის დადგენილება „საკ. კ. პ. (ბ) ისტორიის მოკლე კურსის" გამოშვებასთან დაკავშირებით პარტიული პროპაგანდის დაყენების შესახებ". სახპოლიტგამომცემლობა. 1938.

IV. 15 წელი ულენინოდ, ამხანაგ სტალინის ხელმძღვანელობით ლენინური გზით.

ა) ამხანაგ სტალინის დიადი ფიცი ლენინის გარდაცვალების სამგლოვიარო დღეებში სსრ კავშირის საბჭოების II ყრილობაზე: მაღლა გვეჭიროს და წმინდად დავიცვათ პარტიის წევრის დიდი სახელი; დავიცვათ ჩვენი პარტიის ერთიანობა, როგორც თვალის ჩინი; დავიცვათ და განვამტკიცოთ პროლეტარიატის დიქტატურა; მთელი ძალღონით განვამტკიცოთ მუშათა და გლეხთა კავშირი; განვამტკიცოთ ჩვენი წითელი არმია, ჩვენი წითელი ფლოტი; განვამტკიცოთ და გავაფართოოთ რესპუბლიკების კავშირი; ერთგულება კომუნისტური ინტერნაციონალის პრინციპებისადმი.

ბ) ლენინის ანდერძის შესრულება ამხანაგ სტალინის ხელმძღვანელობით.

„სოციალიზმი სსრ კავშირისათვის არის ის, რაც უკვე მიღწეული და მოპოვებულია" **(სტალინი).**

გ) ჩვენი ამოცანები სოციალისტური წყობილების განვითარებისა და განმტკიცების და კაპიტალისტურ გარემოცვასთან ბრძოლის დარგში, ამოცანები მრეწველობის, სოფლის მეურნეობის, ტრანსპორტის, ვაჭრობის, ქვეყნის თავდაცვისუნარიანობის განმტკიცების დარგში; ამოთხვრა და ბოლომდე განადგურება მტრული ძალებისა: ფაშიზმის ტროცკისტ - ბუხარინელი, ბურჟუაზიულ - ნაციონალისტური და სხვა აგენტებისა; ინტერნაციონალური პროლეტარული კავშირის გაძლიერება და განმტკიცება; წითელი არმიის, წითელი ფლოტის, თავდაცვა - ავიაქიმის გაძლიერება და განმტკიცება; მთელი ჩვენი ხალხი ვიყოლიოთ მობილიზაციური მზადყოფნის მდგომარეობაში.

„საკ. კ. პ. (ბ) ისტორიის მოკლე კურსი" — ბოლშევიზმის მძლავრი იდეური იარაღი.

„დაეუფლებიან რა მარქსიზმ-ლენინიზმის თეორიას, რომელიც გვაიარაღებს საზოგადოებრივი განვითარების კანონების ცოდნით, ჩვენი კადრები ნამდვილად უძლეველნი გახდებიან და ამ თეორიის დროშის ქვეშ, ლენინ-სტალინის პარტიის ხელმძღვანელობით კიდევ უფრო წარმატებით წაიყვანენ მთელ საბჭოთა ხალხს კომუნიზმის გამარჯვებისაკენ" (საკ. კ. პ. (ბ) ც. კ-ის დადგენილება „საკ. კ. პ. (ბ) ისტორიის მოკლე კურსის" გამოშვებასთან დაკავშირებით პარტიული პროპაგანდის დაყენების შესახებ").

ლიტერატურა:

1. **ი. სტალინი.** ლენინის შესახებ. სახპოლიტგამომცემლობა. 1938.
2. **ი. სტალინი.** პარტიული მუშაობის ნაკლოვანებებსა და ტროცკისტ და სხვათა ორგულთა ლიკვიდაციის ღონისძიებებზე. მოხსენება და საბოლოო სიტყვა საკ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის პლენუმზე 1937 წლის 3-5 მარტს. საკ. კ. პ. (ბ) ც. კ-ის პარტგამომცემლობა. 1937.
3. **ი. სტალინი.** სიტყვა კრემლის სასახლეში წითელი არმიის აკადემიკოსთა გამოშვებაზე 1935 წლის 4 მაისს. სახპოლიტგამომცემლობა. 1938.
4. ამხ ივანოვის წერილი და ამხანაგ სტალინის პასუხი. საკ. კ. პ. (ბ) ც. კ-ის პარტგამომცემლობა. 1938.
5. **ვ. მ. მოლოტოვი.** ოქტომბრის რევოლუციის XXI წლისთავი. მოხსენება მოსკოვის საბჭოს საზეიმო სხდომაზე 1938 წლის 6 ნოემბერს. სახპოლიტგამომცემლობა. 1938.
6. **კ. ე. ვოროშილოვი.** სიტყვა წითელ მოედანზე სსრ კავშირში ოქტომბრის დიდი სოციალისტური რევოლუციის XXI წლისთავის დღის (1938 წლის 7 ნოემბერს). სამხედრო გამომცემლობა. 1938.
7. **ა. ა. ჟდანოვი.** ლენინის წინასწარ დასახულობანი განხორციელებულია. მოხსენება 1938 წლის 21 იანვარს დიდ თეატრში ლენინის გარდაცვალების 14 წლისთავისადმი მიძღვნილ საზეიმო-სამგლოვიარო სხდომაზე. საკ. კ. პ. (ბ) ც. კ-ის პარტგამომცემლობა. 1938 წ.
8. **ა. ა. ჟდანოვი.** სიტყვა საკ. ალკკ ცენტრალური კომიტეტის საზეიმო პლენუმზე აქტივთან ერთად, მიძღვნილზე საკ. ალკკ XX წლისთავისადმი, დიდ თეატრში 1938 წლის 29 ოქტომბერს. სახპოლიტგამომცემლობა. 1938 წ.
9. საკავშირო კომუნისტური პარტიის (ბოლშევიკების) ისტორია. მოკლე კურსი. საკ. კ. პ. (ბ) ც. კ-ის რედაქციით. მოწონებულია საკ. კ. პ. (ბ) ც. კ-ის მიერ. 1938 წელი. სახპოლიტგამომცემლობა. 1938.
10. საკ. კ. პ. (ბ) ც. კ-ის დადგენილება „საკ. კ. პ. (ბ) ისტორიის მოკლე კურსის" გამოშვებასთან დაკავშირებით პარტიული პროპაგანდის დაყენების შესახებ". სახპოლიტგამომცემლობა. 1938.

ვეტექიმი **ნ. გვასალია**

ვეტმუშაკთა საბრძოლო ამოცანები

დღეს თბილისში გაიხსნება საქართველოს მიწსახკომის მიერ მოწვეული ვეტერინარიის დარგში მომუშავე სპეციალისტთა რესპუბლიკური თათბირი.

ამჟამად საქართველოში 187 ვეტსაექიმო უბანია, 180 საფერშლო უბანი, არის აგრეთვე ვეტკვლევითი ინსტიტუტი და ვეტტექნიკუმი. ვეტერინარიის დარგში ამჟამად მუშაობს 600-მდე ვეტექიმი და 800-მდე ვეტტექნიკოსი, რომელთა 80 პროცენტი საბჭოთა ხელისუფლების მიერ არის აღზრდილი.

ეს არის დიდი რეზერვი, რომლის სწორად გამოყენება საშუალებას მოგვცემს სრული და სწრაფი ლიკვიდაცია ვუყოთ მავნებლობის შედეგებს ვეტერინარიის დარგში და საბოლოოდ მოვსპოთ პირუტყვის დაავადებათა კერები საქართველოს ყველა რაიონში.

მაგრამ ვეტერინარიის დარგში ყველა მომუშავე როდი ეკიდება თავის საქმეს კეთილსინდისიერად. მოწინავეებთან ერთად გვყავნან ისეთი ვეტმუშაკებიც, რომლებიც კეთილსინდისიერად არ ეკიდებიან დაკისრებულ საქმეს. მაგალითად, ლანჩხუთის რაიონში რამდენიმე სული პირუტყვი დაიხოცა იმის გამო, რომ ვეტექიმებმა ქურხიამ და ებრალიძემ დროზე არ გაატარეს პროფილაქტიკური ღონისძიებანი. უნდა ითქვას, რომ როგორც საერთოდ სხვა რაიონებს, ისე ლანჩხუთის რაიონსაც ამ მხრივ სათანადო დახმარებას ვერც მიწსახკომის ვეტსამმართველო უწევდა.

არის მთელი რიგი რაიონები, სადაც ვეტერინარიისა და ზოოტექნიკის დარგში მომუშავე სპეციალისტები შეთანხმებით არ მუშაობენ, რის შედეგად ჩატარებული მუშაობა ვერ იძლევა სათანადო შედეგს. სიღნაღის, საგარეჯოს, თბილისის და სხვა რაიონებში ნამატის სიკვდილიანობის ერთერთი მთავარი მიზეზია სათანადო ბინის უქონლობა და კვებისა და მოვლის მოუწესრიგებლობა.

მთავარი ყურადღება უნდა მიექცეს ზოოტექნიკური მომსახურების ძირფესვიანად გარდაქმნას, როგორც მეცხოველეობის მეურნეობის ორგანიზაციის საფუძველს. ვიდრე კოლმეურნეობებში მოვლის, კვების და ზოოტექნიკური მომსახურების სხვა პირობები არ გაუმჯობესდება, მარტო სავეტერინარო ღონისძიებათა გატარებით ცხოველთა დაავადებისა და სიკვდილიანობის არა თუ სრული ლიკვიდაცია, არამედ მისი საგრძნობლად შემცირებაც კი ძნელია.

1938 წელს საქართველოს სახდაზღვევის ხაზით რაიონებს სავეტერინარო ქსელის მშენებლობისათვის 2.351.000 მანეთი გადაეცა. მაგრამ ზოგიერთმა რაიონმა ვერ უზრუნველჰყო ამ თანხების ათვისება, ოჩამჩირის, გალის, ჩოხატაურის, აბაშისა და წულუკიძის რაიონებში ვეტსამკურნალოების მშენებლობა მართალია დაიწყო, მაგრამ მათი დამთავრებისათვის ადგილობრივი საბჭოთა ორგანიზაციები, სამიწათმოქმედო ორგანოები ნაკლებად ზრუნავენ. არის შემთხვევები, როცა სავეტერინარო დაწესებულებათა ასაგებად უვარგის ადგილებს გამოჰყოფენ, სადაც შეუძლებელია ნორმალური მუშაობის წარმოება. მაგალითად, ცხაკაიას რაიონში ვეტსამკურნალო ჭაობიან ადგილზეა აშენებული ქალაქ გარეთ, რაც ვერ უზრუნველჰყოფს კულტურულ ვეტმომსახურებას.

მთელ რიგ რაიონებში ვეტმუშაკებს სათანადო პირობებს არ უქმნიან, ყვარლის და საგარეჯოს რაიონებში ბიუჯეტით გათვალისწინებული თანხები, რაც ვეტერინართა ტრანსპორტის მოწესრიგებისათვის იყო განკუთვნილი არადანიშნულებისამებრ დახარჯეს.

ვეტმუშაკები მოკლებული არიან აგრეთვე კანონით გათვალისწინებულ პრივილეგიებს, როგორიც არის კომუნალური მომსახურება, დატვირთვა სტაჟის მიხედვით და სხვ., რაც იწვევს ვეტმუშაკების დენადობას.

სსრ კავშირის მიწსახკომის მიერ ახლახან შემუშავებული ვეტერინარული წესდება ითვალისწინებს სსრ კავშირის სახკომსაბჭოსთან სავეტერინარო კომიტეტის მოწყობას. ეს ღონისძიება, რომელმაც ცხოველი გამოხმაურება ჰპოვა ვეტმუშაკთა შორის, უზრუნველჰყოფს ვეტმომსახურების საფუძვლიანად გარდაქმნას და მის მაღალ საფეხურზე აყვანას.

სავეტერინარო დარგში დამტკიცებული ბიუჯეტის სწორად ათვისებისათვის ჩემის აზრით, საჭიროა ეს თანხები კონცენტრირებულ იქნას რაიონის ვეტექიმის ხელში და მასვე უნდა მიეცეს თანხების გამგებლობის უფლება.

სსრ კავშირის სახკომსაბჭოს დადგენილებით მიწსახკომის ვეტსამმართველოსთან ჩამოყალიბებულია სახელმწიფო ვეტინსპექცია, რომელსაც სერიოზული ამოცანები აქვს დაკისრებული. ვეტინსპექციამ საფუძვლიანად უნდა შეამოწმოს რაიონების, ცალკეულ საბჭოთა მეურნეობების და კოლმეურნეობების, მეცხოველეობის საკოლმეურნეო ფერმებისა და ვეტერინალურ დაწესებულებათა მუშაობა იმ მხრივ, თუ როგორ ატარებენ ისინი პარტიისა და მთავრობის მიერ დასახულ ღონისძიებებს, რომლებიც მიმართულია ვეტსაქმის შემდგომი გაუმჯობესებისაკენ. ვეტინსპექციის როლი მარტო შემოწმებით არ განისაზღვრება, შემოწმებასთან ერთად იგი პრაქტიკულად უნდა დაეხმაროს ადგილებს საკითხების მოგვარებაში.

ვეტერინარულ მუშაკთა რესპუბლიკურმა თათბირმა ბოლშევიკური პირდაპირობით უნდა გააკრიტიკოს წარსული მუშაობა, თათბირის მონაწილეებმა უნდა უამბონ ერთმანეთს თავიანთ გამოცდილებაზე და დასახონ კონკრეტული ღონისძიებანი შენიშნულ ნაკლოვანებათა სწრაფად გამოსწორებისათვის. სავეტერინარო საქმე აყვანილ უნდა იქნას ისეთ დონეზე, რომელიც სწრაფი აღმავლობის გზაზე დამდგარი სოციალისტური მეცხოველეობის მოთხოვნებს უპასუხებს.

კ. მარჯანიშვილის სახელობის თეატრის ათი წელი

კოტე მარჯანიშვილი

მეორე ათწლეულის მიჯნაზე

შ. ღამბაშიძე

რესპუბლიკის დამსახ. არტისტი, მარჯანიშვილის სახ. თეატრის დირექტორი და სამხატვრო ხელმძღვანელი, საქ. სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატი.

ლენინ-სტალინის დიადმა ეპოქამ თეატრს განსაკუთრებული ადგილი მიუჩინა მშრომელთა პოლიტიკური აღზრდის საქმეში. თეატრი გადაიქცა ისეთ მძლავრ იარაღად, რომელიც მასების პოლიტიკური აღზნებით დიდ დახმარებას უწევს პარტიას სოციალისტური მშენებლობის საკითხების წარმატებით გადაჭრაში. თეატრი გადაიქცა ისეთ სკოლად, რომელმაც ეპოქის მოწინავე იდეები დაუყოვნებლივ უნდა შთანერგოს მასებში მხატვრული სახეების საშუალებით. შეცდომა არ იქნება თუ ვიტყვით, რომ ეს იდეები თავის სულიერ საზრდოს თანამედროვე სოციალისტურ სინამდვილეში პოულობენ და უბრუნდებიან ამ სინამდვილის შემომქმედთ მწერლობის საშუალებით.

ჩვენი თეატრის დამაარსებელი და პირველი ხელმძღვანელი კ. მარჯანიშვილი გვასწავლიდა: „თეატრი შესდგება შემოქმედების სამი უშუალო მონაწილისაგან — ესენი არიან ავტორი, აქტიორი და მაყურებელი. ერთერთი ამ ელემენტთაგანი თუ არ არის, თეატრი ვერ იარსებებს“.

მარჯანიშვილის სახელობის თეატრის შემოქმედებითი გზა მჭიდროდ არის დაკავშირებული ჩვენი დრამატურგიის განვითარებასთან. ის გამარჯვებები და გარღვევები, რომლებიც თეატრს ჰქონდა ამ 10 წლის განმავლობაში, ამავე დროს საბჭოთა დრამატურგიის გამარჯვებები და ჩავარდნებია.

საქ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის 1932 წ. 23 აპრილის ისტორიულმა დადგენილებამ მწერლობა საერთოდ, ხოლო დრამატურგია კერძოდ, მაღალ შემოქმედებით დონეზე აიყვანა. ამ დღიდან იწყება განუწყვეტელი აღმავლობა ჩვენი თეატრის ისტორიაში.

ლენინ-სტალინის პარტიის ერთგული შვილის ამხანაგ **ლავრენტი ბერიას** უდიდესი მზრუნველობით გარემოცულმა ქართულმა ხელოვნებამ უკანასკნელ წლებში დიდ შემოქმედებით წარმატებებს მიაღწია.

ქართული ხელოვნება პარტიისა და მთავრობის ყურადღების ცენტრში მოექცა.

— „ჰყვავის ხელოვნება და ლიტერატურა. რუსთაველის სახელობისა და მარჯანიშვილის სახელობის სახელმწიფო თეატრებმა მოგვცეს მთელი რიგი მაღალხარისხოვანი მხატვრული დადგმანი, რომელთა მეოხებითაც ისინი საბჭოთა კავშირის საუკეთესო თეატრთა რიგებში ჩადგნენ“ (ლ. ბერია — „ლენინურ-სტალინური ნაციონალური პოლიტიკის გამარჯვება“).

საქართველოს მოწინავე თეატრების ეს მაღალი შეფასება კიდევ უფრო მეტ ვალდებულებას აკისრებს ჩვენს შემოქმედებით კოლექტივს. კიდევ უფრო ფართო მხატვრულ პერსპექტივებს უსახავს მას. ეს პერსპექტივები ქართველი ხალხის საამაყო შვილმა ამხანაგმა ლ. ბერიამ ასე ჩამოაყალიბა: „ჩვენი სოციალისტური სინამდვილის თანამედროვე ცხოვრება ჯერ კიდევ საკმაოდ სრულ გამოხატულებას ვერ პოულობს მხატვრულ ლიტერატურაში. საქართველოს საბჭოთა მწერლების ამოცანაა შეავსონ ეს დანაკლისი. მხატვრულ ნაწარმოებთა მთავარ გმირად უნდა გახდეს სტალინური ეპოქის ადამიანი. მისი შემოქმედებითი მუშაობა, მისი განცდები, მისი ახალი დამოკიდებულება გარემოსადმი, პატრიოტიზმის მისი მხურვალე გრძნობა და უსაზღვრო ერთგულება ლენინ-სტალინის პარტიის საქმისადმი“.

თავისთავად ცხადია, მოპოვებული მიღწევებით დაკმაყოფილების ცუდი ტენდენციები უნდა აღმოიფხვრას და ჩვენი გაცხოველებული შემოქმედებითი მუშაობა ახალი მიღწევების მოპოვებისაკენ უნდა წარიმართოს.



მეორე ათწლეულის მიჯნაზე ჩვენ დრამატურგებთან ერთად ვიწყებთ ზრუნვას იმისათვის, რომ სულ უახლოეს ხანში გავამდიდროთ რეპერტუარი ორიგინალური ქართული საბჭოთა პიესებით, რომელნიც გამომსახველი იქნებიან ჩვენი დიადი სოციალისტური სამშობლოს შესანიშნავი ადამიანების ბრძოლისა, სიმამაცისა და გმირობისა. შ. დადიანის „ნაპერწკლიდან“, ს. კლდიაშვილის „გმირთა თაობა“, და პ. კაკაბაძის „კოლმეურნის ქორწინება“ ქართული საბჭოთა დრამატურგიის ზრდის დიდმნიშვნელოვან ეტაპს წარმოადგენენ. ეს კი გვინერგავს იმედს, რომ მალე გვექნება ქართული საბჭოთა კლასიკური პიესები. ასეთი პიესების შექმნისათვის თემატიური არე მეტად ვრცელია, ამჟამად ჩვენ განსაკუთრებით გვაინტერესებს პიესები სოციალისტური სამშობლოს თემატიკაზე, პიესა დიად სამშობლოს თავდაცვით ძლიერებაზე, წითელი არმიის მამაც მებრძოლთა გმირობაზე, სამშობლოსათვის თავდადებისა და ლენინ-სტალინის პარტიისადმი ერთგულებაზე. ასეთი პიესა ხელს შეუწყობს ჩვენი ხალხის მობილიზაციურ მზადყოფნას სამხედრო თავდასხმის საფრთხის წინაშე.

„საქ. კ. პ. (ბ) ისტორიის მოკლე კურსის“ გამოქვეყნებით იწყება ახალი ხანა საქართველოს თეატრალური კულტურის აღმავლობაში. ჩვენი თეატრი განსაკუთრებული ყურადღებით, მონდომებითა და სიყვარულით იზრუნებს იმისათვის, რომ მის შემოქმედებითს მუშაობაში გაგრძელდეს ის თეატრალური გეზი, რომელიც დაიწყო შ. დადიანის პიესის „ნაპერწკლიდან“ დადგმით.

ამჟამად თეატრი ამუშავებს თავისი მომავალი შემოქმედებითი მუშაობის სარეპერტუარო გეგმას. იგი მუშავდება თეატრის შემოქმედებითი ძალების ზრდის მოთხოვნათა შესაბამისად, მთელი კოლექტივის შესაძლებლობის გათვალისწინებით იმ მიზნით, რომ აღმოიფხვრას რეპერტუარში შემთხვევითობა, მოისპოს აქტიორული ძალების გაცდენა.

განსაკუთრებული ადგილი ამ რეპერტუარში ქართველმა კლასიკოსებმა უნდა დაიკავონ. გარდა ამისა. განზრახულია შეიქმნას პიესები, რომლებიც ასახავენ ქართველ შემოქმედთა ტრაგიულ ბედს შავბნელ წარსულში. ამ მხრივ შეიქმნება პიესები დავით გურამიშვილზე, ნ. ბარათაშვილზე და ნიკო ფიროსმანზე. დიდი რუსი ხალხის ლიტერატურის კლასიკოსებისაგან ჩვენ, უპირველეს ყოვლისა, ვიმუშავებთ ჩვენი ეპოქის დიდი მწერლის მაქსიმ გორკის პიესებზე („ეგორ ბულიჩევი“, „ვასა ჟელეზნოვა“, „მტრები“). თეატრი უკვე მუშაობს გოგოლის „რევიზორზე“. საორიენტაციო გეგმაში შეგვაქვს აგრეთვე რუსეთის სხვა კლასიკოსებიც.

დასავლეთ ევროპის კლასიკოსებიდან გეგმაში შეტანილია შექსპირის „ჰამლეტი“, „მეფე ლირი“, შილერის „ფირალები“ მარჯანიშვილის რეჟისორული ექსპოზიციის განხორციელებით და სხვ.

ჩვენ აღვადგენთ მარჯანიშვილის მიერ ჩვენს თეატრში დანერგილ მუსიკალურ კომედიებზე მუშაობის ტრადიციას, რადგან იგი ხელს უწყობს აქტიორულ შესაძლებლობათა მრავალმხრივ ზრდა-განვითარებას.

ძირითადი სარეპერტუარო ხაზი, რომელმაც უნდა წარმართოს ჩვენი თეატრის შემოქმედებითი მუშაობა უახლოეს წლებში, რასაკვირველია, თანამედროვე დრამატურგიას ემყარება. ამიტომაც თანამედროვე დრამატურგიის შემდგომი ზრდა უპირველეს ყოვლისა, გამოიწვევს ჩვენი თეატრის ზრდას, მის შემდგომ განვითარებას. ამიტომაც მარჯანიშვილის სახელობის თეატრი მტკიცედ განახორციელებს ქართველი ხალხის საამაყო შვილის ამხ. ლ. ბერიას მითითებას თეატრებსა და დრამატურგებს შორის მტკიცე კონტაქტის დასამყარებლად, რადგან ცდამ ამ მიმართულებით უკვე გამოიღო საუცხოო ნაყოფი.

მხატვრული შემოქმედების მეორე ათწლეულის მიჯნაზე ჩვენ აღვუთქვამთ პარტიას, რომ გავამართლებთ მის დიდ მზრუნველობას და გულმოდგინედ ვიმუშავებთ აყვავებული ქართული თეატრალური კულტურის შემდგომი აღმავლობისათვის.

მარჯანიშვილის სახ. თეატრის მსახიობები: ა. ჟორჟოლიანი (ორდენოსანი), თ. ჭავჭავაძე (რესპ. დამს. არტ. ორდენოსანი), ვ. ანჯაფარიძე (რესპ. დამს. არტ.), პ. კობახიძე, შ. გომელაური, ტ. აბაშიძე (რესპ. დამს. არტ.), ც. წუწუნავა, ვ. გოძიაშვილი, გ. კოსტავა, ბ. გამრეკელი, გ. შავგულიძე, ს. ზაქარიაძე, ქ. ქვანტალიანი, მ. სარაული, შ. ჯაფარიძე, ი. გვინჩიძე.

საბჭოთა თეატრალური საზოგადოებრიობა — იუბილარს

სრულიად-რუსეთის თეატრალური საზოგადოება მხურვალედ ულოცავს მარჯანიშვილის სახელობის თეატრის კოლექტივსა და ხელმძღვანელობას სახელოვან 10 წლის იუბილეს. თქვენი იუბილე წარმოადგენს მოძმე საქართველოს ნაციონალური კულტურის აყვავების დღესასწაულს. გისურვებთ დიდ შემოქმედებით გამარჯვებებს ჩვენი დიადი ხალხის შესაფერი, შესანიშნავი სპექტაკლების შესაქმნელად.

ა. ა. იაბლოჩკინა

რუსეთის თეატრალური საზოგადოების საბჭოს თავმჯდომარე, სსრ კავშირის სახალხო არტისტი.

○

ჩვენი ქვეყნის უძველესი თეატრი მხურვალედ ულოცავს ათი წლის იუბილეს მზიანი საქართველოს თავის ახალგაზრდა თანამოძმეს. გისურვებთ ახალ წარმატებებს რეალისტური, ჩვენი დიადი სოციალისტური სამშობლოს შესაფერი ხელოვნების შექმნაში.

ა. ს. პუშკინის სახელობის დრამის ლენინგრადის სახელმწიფო აკადემიური თეატრი.

○

არა გვაქვს რა შესაძლებლობა პირადად დავესწროთ თქვენს საზეიმო იუბილეს, ლენინის ორდენოსანი სახელმწიფო აკადემიური მცირე თეატრის კოლექტივის სახელით მხურვალედ გილოცავთ და გისურვებთ ახალ შემოქმედებით წარმატებებს.

სსრ კავშირის სახალხო არტისტები: **პაშენაია, იაბლოჩკინა, კლიმოვი, ოსტუჟევი, ხადოვსკი**, რსფსრ სახალხო არტისტები: **გოგოლევა, ლენინი**, რსფსრ დამსახურებული არტისტი **გოლოვინი**, მცირე თეატრის დირექტორი **შუმილინი**.

○

ძმურად ვულოცავთ მარჯანიშვილის სახელობის თეატრს მის სახელოვან იუბილეს. მოხარული ვართ, რომ ყველა თქვენ, ძვირფასო ამხანაგებო, თქვენი შემოქმედებითი მუშაობით სამართლიანად და ღირსეულად ატარებთ საუცხოო მხატვრისა და თქვენი თეატრის დამაარსებლის ძვირფასი და დაუვიწყარი კოტე მარჯანიშვილის ღირსეულ სახელს გისურვებთ უცვლელი წარმატებით განაგრძობდეთ თქვენს სახელოვან მუშაობას და თაობიდან თაობას გადასცემდეთ მარჯანიშვილის სახელს განთავისუფლებულ ქართველ ხალხს. გულითადად გეხვევით ყველას.

ა. კოონენი

რსფსრ სახალხო არტისტი.

ა. ტაიროვი

რსფსრ სახალხო არტისტი.

○

ჩემის რჩევით და ლადო მესხიშვილის შთაგონებით, კ. მარჯანიშვილი გასული საუკუნის 90-იან წლებში ქართულ სცენაზე გამოვიდა. გარეგანი შეხედულება, გამოთქმა და მიმოხვრა საკმაოდ ლამაზი და მოხდენილი ჰქონდა, დანარჩენი კი ჩვენზე და მასზე იყო დამოკიდებული. მაგრამ ის დიდხანს ვერ შერჩა ქართულ სცენას. ძნელი, აუტანელი იყო თვითმპყრობელობისაგან და უსახსრობისაგან შევიწროვებულ თეატრში მუშაობა. კოტეც იძულებული გახდა რუსეთში წასულიყო. იქ მისმა ნიჭმა ფრთა გაშალა, მერე ხომ ყველამ უწყის, როგორ გაითქვა სახელი რეჟისორობის დარგში.

მარიამ საფაროვა-აბაშიძე

რესპ. სახალხო არტისტი.

○

სულით და გულით მივესალმები მარჯანიშვილის სახელობის სახელმწიფო თეატრის კოლექტივსა და ხელმძღვანელობას. ვწუხვარ, რომ ჯანმრთელობის მდგომარეობა საშუალებას არ მაძლევს დავესწრო თქვენს დღესასწაულს, რათა პირადად ჩამოგართვათ ხელი და მოგილოცოთ მიღწევები, რომლებმაც ესოდენ გაამდიდრეს საბჭოთა ნაციონალური ხელოვნება. მხურვალედ გისურვებთ, ძვირფასო ამხანაგებო, შემდგომ შემოქმედებით ზრდას და ახალ დიდ გამარჯვებებს.

ვ. ი. კაჩალოვი

სსრ კავშირის სახალხო არტისტი.

მოსკოვის გორკის სახელობის ლენინის ორდენოსანი წითელდროშოვანი მხატვრული აკადემიური თეატრი მეგობრულ მილოცვას უძღვნის მარჯანიშვილის სახელობის სახელმწიფო თეატრის კოლექტივს მისი 10 წლის იუბილეს დღეს. თქვენთან ერთად ჩვენ გვიხარია და აღტაცებულად ვუკრავთ ტაშს საბჭოთა ნაციონალური ხელოვნების წარმატებებს, კერძოდ ქართული თეატრის შესანიშნავ ხელოვნებას. გონებით ვიზიარებთ თქვენს დღესასწაულს ამხანაგური სიმპატიის მთელი მგზნებარებით და თქვენი შემდგომი შემოქმედების წარმატების ღრმა რწმენით.

ნემიროვიჩ-დანჩენკო

სსრ კავშირის სახალხო არტისტი.

ზოიარსკი

მოსკოვის სამხატვრო აკადემიური თეატრის დირექტორი

○

ვულოცავ მარჯანიშვილის სახელობის სახელოვან თეატრს მისი 10 წლის იუბილეს დღეს. სულითა და გულით ვუსურვებ აყვავებას ამ თეატრს, რომელიც მუშაობს მშვენიერ ქვეყანაში — საქართველოში, საუცხოო ქალაქ თბილისში, რომელიც მე მიყვარს და ვოცნებობ კვლავ ვინახულო. გულითადი სალამი თეატრის ყველა მუშაკს.

ო. ლ. კნიპერ-ჩეხოვა

სსრ კავშირის სახალხო არტისტი.

○

ვთხოვ მარჯანიშვილის სახელობის თეატრს მიიღოს ჩემი მილოცვა და საუკეთესო სურვილები.

პ. სადოვსკი

სსრ კავშირის სახალხო არტისტი.

○

მივესალმები მოძმე ქართულ თეატრს. გისურვებთ შემდეგშიც გევლოთ ნაციონალური ხელოვნების აყვავებისა და ზეიმის გზით.

ნ. ხმელევი

სსრ კავშირის სახალხო არტისტი.

საყვარელი თეატრი

10 წლის არსებობის მანძილზე შესანიშნავი დადგმების განხორციელებით კ. მარჯანიშვილის სახელობის თეატრმა დიდი სიყვარული მოიპოვა მასებში, იგი მშრომელთა საყვარელი თეატრი გახდა.

თბილისის რკ. გზის დეპოს მუშები დიდი სიხარულით ხვდებიან თეატრის ყოველ გამარჯვებას და ხშირად ესწრებიან სპექტაკლებს. დეპოს კოლექტივში ბევრია ისეთი მუშა, რომელსაც კ. მარჯანიშვილის სახ. თეატრის ყველა სპექტაკლი უნახავს.

უკანასკნელი დადგმებიდან განსაკუთრებით ძლიერი შთაბეჭდილება მოახდინა შ. დადიანის პიესის „ნაპერწკლიდან“ ჩვენებამ. ბევრმა მუშამ ეს სპექტაკლი რამდენჯერმე ნახა.

კ. მარჯანიშვილის სახ. თეატრი კულტურის მძლავრი კერაა.

ნ. გელაძე

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატი, ორდენოსანი.



მაღალი მხატვრული სკოლა

კ. მარჯანიშვილის სახელობის თეატრს დაარსების პირველი დღეებიდანვე ვიცნობ. პირველმა დადგმებმა ჩემზე დიდი შთაბეჭდილება დასტოვეს.

10 წლის ენერგიულმა შრომამ თეატრსა და მის კოლექტივს დიდი ავტორიტეტი და სიყვარული მოუპოვა ხალხში. იგი დიდ აღმზრდელობით მუშაობას ეწევა, მან ბევრი ცნობილი მსახიობი აღზარდა, რომელთა შორის არიან — ვ. ანჯაფარიძე, ვ. გოძიაშვილი, შ. ღამბაშიძე, თ. ჭავჭავაძე...

უკანასკნელი დადგმებიდან ჩემზე განსაკუთრებით კარგი შთაბეჭდილება დასტოვა შ. დადიანის პიესამ „ნაპერწკლიდან“.

ვუსურვებ თეატრს შემდგომ ნაყოფიერ შრომასა და უფრო დიდ წარმატებას.

ბ. ხუსკივაძე

მასწავლებელი, ორდენოსანი.

თეატრის წარსულიდან

ქუთაის-ბათუმის სახელმწიფო დრამის დასის საერთო კრება

სამშაბათი, 7 აგვისტო 1928 წ.

სამხატვრო ნაწილის გამგე და თეატრის ხელმძღვანელი კ. მარჯანიშვილი საერთო მისალმების შემდეგ აცნობს დასს შინა განწესრიგების ზოგიერთ მუხლებს.

რეპეტიციები იწარმოებს დილით— 11 საათზე, საღამოს — 7 საათზე; თითო რეპეტიცია გრძელდება 3 საათს.

ხელმძღვანელი ერთხელ კიდევ მოაგონებს დასს, რომ რეპეტიცია მოითხოვს დიდ ყურადღებას და გულისყურს. ამიტომ არ უნდა ექნეს ადგილი მასზე დაგვიანებას.

მომავალი სეზონის რეპერტუარი განხილულია და მიღებული მთავარ სახელოვნო კომიტეტის მიერ. ჯერჯერობით იწარმოებს მუშაობა შემდეგ პიესებზე: „ჰოპლა, ჩვენ ვცოცხლობთ“, „ჟანა დარკ“, „ურიელ აკოსტა“, „მაკბეტ“, „სამანიშვილის დედინაცვალი“, აღდგენილ იქნება „ჰამლეტ“ და „ფუენტე ოვეხუნა“.

მთავარი ხელმძღვანელი აცნობს დასს როლების განაწილების შედეგებს და სთხოვს დასის წევრებს, თუ რაიმე გაუგებრობას აქვს ადგილი როლების განაწილებაში, მას პირადად განუცხადონ.

პარალელურად, ერთსა და იმავე დროს, იწარმოებს სამი რეპეტიცია; მთავარი ხელმძღვანელი დაიწყებს პირველ რეპეტიციებს, შემდეგ გადასცემს პიესას რეჟისორს.

თეატრი უზრუნველყოფილია თავისი მხატვრით. ცალკე დადგმებზე იმუშავებენ აკადემიკოსები — შარლემანი და ლანსერე, მხატვრები — დ. კაკაბაძე, ლ. გუდიაშვილი და სხვ.

სხვადასხვა დადგმებისთვის სპეციალურ მუსიკას დასწერს კომპოზიტორი თ. ვახვახიშვილი. რაც შეეხება ტექნიკურ პერსონალს, შერჩეულია საუკეთესო მომუშავენი.

ადმინისტრატიული ხელმძღვანელობა ეკისრება რეჟისორ დ. ანთაძეს.

დასასრულ, ხელმძღვანელი აღნიშნავს იმ დიდ პასუხისმგებლობას, რომელსაც დასს მომავალი სეზონი აკისრებს. კ. მარჯანიშვილი სთხოვს დასის წევრებს მეტ შემჭიდროებას, აფრთხილებს, რომ თეატრში ადგილი არ უნდა ჰქონდეს არავითარ დაჯგუფებას, რაც მეტად აფერხებს შემოქმედებითს მუშაობას... ვინც ხელისშემშლელი იქნება მუშაობისა და არ დაემორჩილება საერთო დისციპლინას, დაუყოვნებლივ იქნება დათხოვნილი დასიდან.

მიესალმება რა ერთხელ კიდევ დასს, სამხატვრო ნაწილის გამგე მოაგონებს მას, რომ საღამოს 7 საათზე დანიშნულია პირველი რეპეტიცია, წაკითხული იქნება პიესა „ჰოპლა“.

ქ. ქუთაისი.

კრების ანგარიში ჩასწერა
დ. ანთაძემ.

მხურვალე სალამი

მარჯანიშვილის სახელობის სახელმწიფო თეატრის ათი წლის იუბილე — საბჭოთა კულტურის ზეიმია, იგი დღესასწაულია ლენინ-სტალინის ნაციონალური პოლიტიკისა. მთელი ქართველი ხალხი დღესასწაულობს ამ მნიშვნელოვან თარიღს.

ათი წლის განმავლობაში მარჯანიშვილის სახ. თეატრმა საბჭოთა მაყურებლის გულში მტკიცე ადგილი დაიპყრა და იგი ერთერთი წამყვანი თეატრია ჩვენს ბედნიერ ქვეყანაში.

განსაკუთრებული გრძნობით ვულოცავ ამხანაგებს ამ მნიშვნელოვან დღეს. ჩვენს თაობას თეატრალურ ფრონტზე სცენის დაუვიწყარი ოსტატი კოტე მარჯანიშვილი აერთებს, რომელმაც, კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა ხელისუფლების დახმარებით, დაუვიწყარი ღვაწლი შეიტანა ქართული საბჭოთა თეატრის აყვავებისა და ზრდის საქმეში.

გისურვებთ გამარჯვებას მომავალ შემოქმედებითს ბრძოლებში და გილოცავთ ღირსშესანიშნავ იუბილეს!

აკ. ვასაძე

სსრ კავშირის სახ. არტისტი, საქ. სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატი, ორდენოსანი.

მნიშვნელოვანი თარიღი

ბ. ზოგუა

საქ. სსრ სახკომსაბჭოსთან არსებული ხელოვნების საქმეთა სამმართველოს უფროსი.

ოქტომბრის დიადი რევოლუციის ძლევამოსილებით ლენინურ-სტალინური ნაციონალური პოლიტიკის განუხრელად გატარებით, ჩვენს ქვეყანაში სოციალიზმის გამარჯვების შედეგად ბედნიერ და საამურ ცხოვრებას დაწაფებული ქართველი ხალხის შემოქმედებითს ძალებს არნახული გასაქანი მიეცა. აყვავდა და გაიფურჩქნა შინაარსით სოციალისტური და ფორმით ნაციონალური ხელოვნება.

საქართველოს ხალხს მრავალსაუკუნეობრივი თეატრალური კულტურა გააჩნია, მაგრამ ცარიზმის პირობებში, როდესაც ორმაგი მონობის უღელქვეშ იხშობოდა და ისრისებოდა ხალხის შემოქმედებითი ძალები, მისი უნარი, ნიჭი და შესაძლებლობა, ცხადია, არსებობის სახსარმოკლებულ თეატრში დიდი სასცენო ხელოვნება ვერ შეიქმნებოდა. ქართველი ხალხის სახელგანთქმულ აქტიორებს ისიც გმირობად ეთვლებოდათ, რომ ისინი ახერხებდნენ დევნილი და განაწამები ქართული თეატრისათვის სიცოცხლის შენარჩუნებას.

მენშევიკების ბატონობის დროს თეატრი მოკლებული იყო სახელმწიფოებრივ ზრუნვასა და ყურადღებას. თეატრი დაეცა და გაპარტახდა.

ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის საქართველოში გამარჯვებისთანავე ბოლშევიკების პარტიამ და საბჭოთა ხელისუფლებამ განსაკუთრებული მზრუნველობით მოჰკიდეს ხელი ათეულწლობით დევნილი ქართული თეატრალური კულტურის აღორძინების საქმეს. შეიქმნა ყველა საჭირო პირობები თეატრალური კულტურის გამოცოცხლებისა და მისი შემდგომი ზრდა-განვითარებისათვის.

განსაკუთრებულ წარმატებებს ქართულმა თეატრალურმა კულტურამ მიაღწია უკანასკნელი 6-7 წლის განმავლობაში, როდესაც ქართველი ხალხის საამაყო შვილის ამხ. ლ. პ. ბერიას ხელმძღვანელობით დიდი მიღწევები იქნა მოპოვებული ქვეყნის სამეურნეო და კულტურული ცხოვრების ყველა დარგში.

ბოლშევიკების პარტიისა და საბჭოთა მთავრობის შეუნელებელმა მზრუნველობამ და ყურადღებამ უზრუნველჰყო რამდენიმე ათეული ახალი თეატრის შექმნა. „საბჭოთა საქართველოს თეატრები სამართლიანად ითვლებიან ერთერთ საუკეთესო თეატრებად საბჭოთა კავშირში. აღიზარდნენ აქტიორთა და რეჟისორთა მნიშვნელოვანი კადრები, რომლებიც დაეუფლნენ სცენიური ხელოვნების ოსტატობას. აღიზარდნენ დრამატურგთა კადრები, რომლებიც ქმნიან მაღალმხატვრულ პიესებს სოციალიზმის გამარჯვებისათვის, მშრომელთა გმირული ბრძოლის მრავალფეროვან თემატიკაზე“ (ლ. ბერია).

საქართველოს დრამატიული თეატრებიდან თავის მაღალხარისხოვან მხატვრულ დადგმათა მეოხებით საბჭოთა საუკეთესო თეატრებს შორის ჩადგნენ, რუსთაველის სახელობის ლენინის ორდენოსანი და მარჯანიშვილის სახელობის სახელმწიფო თეატრები.

მარჯანიშვილის სახელობის სახელმწიფო თეატრმა უკვე 10 წლის შემოქმედებითი მუშაობის გზა განვლო, იგი 10 წლის განმავლობაში ერთგულად ემსახურება სოციალისტურ სამშობლოს, მან სინამდვილის სიმართლით ამსახველი შემოქმედებით, ხალხის გმირული ბრძოლის ამსახველი სპექტაკლებით, სოციალიზმის გამარჯვებისათვის აღგზნებული ოსტატობით მშრომელი მასების სიყვარული დაიმსახურა.

თეატრის შემოქმედებითს მუშაობაში, რომლის 10 წლისთავს ჩვენ ახლა აღვნიშნავთ, დიდი ღვაწლი მიუძღვის საბჭოთა სცენის სახელოვან ოსტატს კოტე მარჯანიშვილს, რომელსაც 1932 წელს საბჭოთა მთავრობამ რესპუბლიკის სახალხო არტისტის სახელწოდება მიანიჭა, ხოლო 1933 წელს მისი გარდაცვალების შემდეგ, თბილისის მეორე სახელმწიფო ქართული დრამის თეატრი მის სახელობის თეატრად იქნა აღიარებული.

ამ თეატრში თავიდანვე მუშაობენ სცენის მოღვაწეთა უფროსი თაობის წარმომადგენლები, რომელთაც მტკიცედ დაუკავშირეს თავიანთი ცხოვრება და შემოქმედება სოციალისტური კულტურის საქმეს და თავიანთი შემოქმედებით ერთგულად ემსახურებიან სოციალისტურ სამშობლოს.

პარტიისა და საბჭოთა ხელისუფლების მუდმივი მზრუნველობისა და ყურადღების შედეგად მარჯანიშვილის სახელობის თეატრში მიღწეულია შემოქმედ მუშაკთა განუხრელი იდეურ-პოლიტიკური და შემოქმედებითი ზრდა. ამ თეატრში აღიზარდნენ ჩვენი სცენის თვალსაჩინო ოსტატები. დღითიდღე იზრდება და იფურჩქნება ახალგაზრდა შემოქმედი ძალების ნიჭი და შესაძლებლობა, ყველა ესენი უსაზღვროდ ერთგულნი არიან მათი აღმზრდელი საბჭოთა ხელისუფლებისა.

მარჯანიშვილის თეატრმა 10 წლის გაცხოველებული შემოქმედებითი მუშაობით შექმნა მეტად მნიშვნელოვანი რეპერტუარი; ის შეიცავს პიესებს, რომელნიც ასახავენ ქართველი მშრომელი ხალხის მდგომარეობას წარსულში და მის გმირულ ბრძოლას სოციალიზმისათვის ლენინ-სტალინის პარტიის ხელმძღვანელობით. აღსანიშნავია, რომ მარჯანიშვილის თეატრში დადგმული 48 პიესიდან 32 პიესა თანამედროვე და ისტორიულ-რევოლუციურ თემებზეა და ბევრი მათგანი თეატრმა შესძლო ექცია ნამდვილ სახალხო სპექტაკლებად.

მარჯანიშვილის თეატრმა დიდი შემოქმედებითი მუშაობა გასწია კლასიკოსების სცენიურ ნაწარმოებთა დასადგმელად და შექმნა მთელი რიგი მაღალმხატვრული სპექტაკლები. განსაკუთრებით ნაყოფიერი მუშაობა გასწია თეატრმა ქართველი კლასიკოსების ი. ჭავჭავაძის, ე. ნინოშვილის, დ. კლდიაშვილის ნაწარმოებთა გასცენიურებით. ამ მწერლების შესანიშნავ ნაწარმოებთა დადგმა თეატრსაც დიდად დაეხმარა რეალისტური მეთოდის დაუფლების საქმეში.

უკანასკნელ წლებში თეატრის შემოქმედებითს მუშაობაში უკვე აღკვეთილია ესთეტიზმითა და სანახაობითი ფორმებით ზედმეტად გატაცების რეციდივები, რაც იმას ნიშნავს, რომ თეატრი წარმატებით მუშაობს სოციალისტური რეალიზმის დაუფლებისათვის.

თეატრის შემოქმედებითს მუშაობაში ახალი აღმავლობის ეტაპი შეიქმნა ამხ. ლ. ბერიას შესანიშნავი შრომით „ამიერ-კავკასიის ბოლშევიკური ორგანიზაციების ისტორიის საკითხისათვის“ შთაგონებული დრამატიული ნაწარმოების დადგმით. ეს არის შ. დადიანის „ნაპერწკლიდან“, რომელიც ასახავს ამხანაგ სტალინის ბრძოლას ლენინურ-ისკრული ორგანიზაციების ჩამოყალიბებისა და განმტკიცებისათვის ამიერ - კავკასიაში.

მარჯანიშვილის თეატრი, რომელიც ყველა ჩვენს თეატრთან ერთად გარემოცულია პარტიისა და მთავრობის ყურადღებითა და მზრუნველობით, მოვალეა კიდევ უფრო მეტად გააცხოველოს შემოქმედებითი მუშაობა, რათა პოლიტიკურ-იდეური დონის ამაღლებით, სოციალისტური რეალიზმის მეთოდის სრული დაუფლებით შესძლოს ჩვენი დიადი ეპოქის, მისი შესანიშნავი ადამიანების გმირობისა და სიმამაცის ამსახველი დიდი სახალხო სპექტაკლების შექმნა.

თეატრის უახლოეს ამოცანას შეადგენს იზრუნოს კლასიკური საბჭოთა პიესის შექმნაზე. უკანასკნელ წლებში ჩვენ მიერ დადგმული პიესების, განსაკუთრებით პიესის—„ნაპერწკლიდან“, „გმირთა თაობის“ და „კოლმეურნის ქორწინების“ წარმატება იმის სრულ შესაძლებლობას იძლევა, რომ დრამატურგებსა და თეატრს მოვთხოვოთ ნამდვილად მაღალხარისხოვანი დიდი რეალისტური ნაწარმოები, რომლის სცენიური განსახიერებისათვის მუშაობაში კიდევ უფრო მეტად გაიზრდებიან და დახელოვნდებიან აყვავებული საბჭოთა ქართული თეატრის აქტიორული ძალები.

გისურვებთ ახალ წარმატებებს

ძვირფასო ამხანაგებო!

10 წელი თქვენი მუშაობისა კიდევ ერთი ახალი მაჩვენებელია ლენინ-სტალინის ნაციონალური პოლიტიკის ბრწყინვალე გამარჯვებისა.

თქვენ უჩვენეთ მაყურებელს შესანიშნავი სპექტაკლი „ნაპერწკლიდან“, რომელიც ასახავს რევოლუციის ბელადების ლენინისა და სტალინის ბრძოლას თვითმპყრობელობისა და კაპიტალიზმის წინააღმდეგ მუშათა მოძრაობის გარიჟრაჟზე. დღეს თქვენ შეიარაღებული ხართ ისევე, როგორც ჩვენ—მეცნიერები, მარქსიზმ - ლენინიზმის უდიდესი ენციკლოპედიით, „საქ. კ. პ. (ბ) ისტორიის მოკლე კურსით“, რომელიც დახმარებას გაგიწევთ გამრავლოთ თქვენი გამარჯვებები შემოქმედებითი მუშაობის ფრონტზე.

გულწრფელად გისურვებთ ახალ მხატვრულ წარმატებებს, ამხანაგებო!

სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის საქართველოს ფილიალის მეცნიერმუშაკების სახელით ფილიალის თავმჯდომარე, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატი—

პროფ. ნ. მუსხელიშვილი

იტალია-ინგლისის მოლაპარაკება

რომი, 12 იანვარი (ტასსი). ბდგილობრივი უცხოელი წრეები ამტკიცებენ, რომ იტალია დაჟინებითი ფორმით დააყენებს ინგლისის მინისტრების წინაშე ესპანეთის საკითხს. რაკი ესპანეთის ფრონტებზე წარმატებას ვერ მიაღწია, იტალიას სურს მიიღოს ინგლისის თანხმობა ესპანეთში მონარქიის რესტავრაციაზე და ტახტზე აიყვანოს ესპანეთის ყოფილი მეფის ალფონსის უმცროსი ვაჟი დონ-ხუანი, რომელიც ამჟამად რომში იმყოფება და ინგლისის ჯარის ოფიცერია. იტალიაში ჰფიქრობენ, რომ იგი ლონდონისათვის მისაღები კანდიდატი იქნება ტახტისა. ამ გზით იტალიას იმედი აქვს მიაღწიოს ახალი მარიონეტული მთავრობისათვის მებრძოლი მხარის უფლებათა აღიარებას.

იტალიის პრესა ჩემბერლენისა და მუსოლინის საუბრის შესახებ

რომი, 12 იანვარი (ტასსი). უცხოეთის წრეებში აღნიშნავენ, რომ ჩემბერლენისა და მუსოლინის საუბარი ატარებდა აშკარა მლიქვნელურ ხასიათს და შეიცავდა ისეთ კომპლიმენტებს მუსოლინის მიმართ, რომლებიც გაცილებით უფრო მეტ ვალდებულებას ჰგულისხმობენ, ვიდრე უკანასკნელის კომპლიმენტები ჩემბერლენის მიმართ. ჩემბერლენის გამოსვლის ხასიათი, ის გარემოება, რომ მან სპეციალურად აღნიშნა მუსოლინის როლი მიუნხენის კონფერენციაზე, საფუძველს აძლევს მთელს ფაშისტურ პრესას რომის ახლანდელ მოლაპარაკებას უწოდოს მიუნხენის ფაქტიური გაგრძელება, ე. ი. ინგლისის კაპიტულანტური პოლიტიკის გაგრძელება. კომენტარიებს უკეთებს რა ჩემბერლენის მიერ გამოთქმულ აზრს, გაზეთი „მესაჯერო" ინგლისის პრემიერს აშკარად უწოდებს ფაშიზმის მიმდევარს. „მისი ჯანსაღი რეალიზმი, —სწერს გაზეთი, — წარმოადგენს ფაშისტური დოქტრინის მთელი რიგი საფუძვლების გამოხატულებას ემპირიული ფორმით".

არსებითად ფაშისტური გაზეთები არაფერს არ სწერენ მუსოლინისთან გუშინ გამართული საუბრის შესახებ ისე, როგორც დღეს მოსალოდნელი შეხვედრის შესახებაც.

ესპანეთის ფრონტებზე

(ტასსის მიერ პარიზიდან მიღებული ცნობების მიხედვით)

ცენტრალური ფრონტი

როგორც ნათქვამია ესპანეთის თავდაცვის სამინისტროს ოფიციალურ ცნობაში, 12 იანვარს ცენტრალური ფრონტის ესტრემადურის უბანზე რესპუბლიკელთა ჯარის ძლევამოსილი შეტევა გრძელდებოდა. რესპუბლიკელთა ჯარმა დაიკავა სიერრა დე ლა სანტოსი, პენიაროია (ვალსეკილიოს სამხრეთით) და ბელმესი. რესპუბლიკელებმა ხელთ იგდეს მრავალი ტყვე და სამხედრო საჭურველი. ცნობის შედგენის მომენტში რესპუბლიკელთა ჯარის წარმატებითი წინსვლა გრძელდებოდა. მონტერუბიოს სექტორში მეამბოხეთა მრავალი იერიში სავსებით მოგერიებულ იქნა.

აღმოსავლეთის ფრონტი

ინტერვენტების ჯარმა ხანგრძლივი საარტილერიო მომზადების შემდეგ და დიდძალი ავიაციის დახმარებით რამდენადმე გააუმჯობესა თავისი პოზიციები ავრამუნტის სექტორში (ბალაგერის აღმოსავლეთით). რესპუბლიკის ჯარი წარმატებით გადავიდა კონტრიერიშზე, რომლის შედეგადაც მტერს წაართვა მაღლობები 411, 444 და 443 და სოფელი ლონსელი. რესპუბლიკელებმა ხელთ იგდეს მრავალი ტყვე და ინტერვენტების მიერ უკანდახევის დროს მიტოვებული იარაღი.

ინტერვენტები არტილერიისა და ავიაციის აქტიური მონაწილეობით განაგრძობენ თავის იერიშებს მათ მიერ 11 იანვარს ღამით დაპყრობილ სოფელ მონტბლანჩის რაიონში (რეუსის ჩრდილოეთით) და ფალსეტასთან (რეუსის დასავლეთით). ამ უბანში გააფთრებული ბრძოლა ვრძელდება. იტალიელთა დივიზიებს დიდი ზარალი მოსდით.

დატყვევებულმა იტალიელმა ჯარისკაცმა ორნალდო მონარდი კაფარამ განაცხადა, რომ იტალიელთა დივიზიის — „ლიტორიოს" პირველმა პოლკმა სამი დღის ბრძოლის შემდეგ 800 კაცი დაჰკარგა.

რესპუბლიკელთა ავიაციამ წარმატებით დაუშინა ზარბაზნები და ტყვიამფრქვევები ინტერვენტების ძალთა შეჯგუფების პუნქტებსა და მათს სამხედრო ტრანსპორტებს. მომხდარი საჰაერო ბრძოლის დროს ჩამოგდებულ იქნა 3 იტალიური თვითმფრინავი: 2 „ფიატი" და ერთი „ლორნიე—17". ერთი იტალიელი მფრინავი ტყვედ წაიყვანეს.

სხვა ფრონტებზე მდგომარეობა უცვლელია.

○

ინტერვენტთა ავიაციამ 12 იანვარს ყუმბარები დაუშინა ვალენსიას, ტარაგონასა და რეუსს. სამოქალაქო მოსახლეობაში არის მსხვერპლი.

რესპუბლიკელთა ნაღმოსნის „ხოსე ლუის დიესის" მეზღვაურები ალმერიაში

ბარსელონა, 12 იანვარი (ტასსი). ინგლისის ორმა ნაღმოსანმა ქალაქ ალმერიაში მიიყვანა რესპუბლიკელთა ნაღმოსან „ხოსე ლუის დიესის" ეკიპაჟი—159 კაცი, გემის უფროსისა და კომისრის მეთაურობით. რესპუბლიკელთა მეზღვაურები, მოგვითხრობენ რა ბრძოლის ამბავს, რომელშიც მათ მონაწილეობა მიიღეს, აღნიშნავენ, რომ მძიმედ დაჭრილნიც კი არ სტოვებდნენ ბრძოლის დროს თავის პოსტებს. ყველა მეზღვაურმა განაცხადა, რომ უდიდესი სურვილი აქვთ დაუყოვნებლივ ჩაებან დამპყრობთა წინააღმდეგ ბრძოლაში.

რუზველტის მიმართვა კონგრესისადმი

ნიუ-იორკი, 13 იანვარი (ტასსი). როგორც უკვე გამოქვეყნებული იყო, ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტმა რუზველტმა კონგრესისათვის ბიუჯეტის საკითხზე გაგზავნილ მიმართვაში მოითხოვა ასიგნობათა გადიდება სამხედრო საჭიროებისათვის მომავალ საბიუჯეტო წელს (1 ივლისიდან დაწყებული) 1.609 მილიონ დოლარამდე, ნაცვლად 1.010 მილიონი დოლარისა, რაც მიმდინარე საბიუჯეტო წელს იყო გაღებული. ამ თანხიდან 1 მილიარდ დოლარზე მეტი დანიშნულია ეგრეთწოდებული რეგულარული ხარჯებისათვის და 526 მილიონი დოლარი—როგორც სპეციალური ფონდი. ამ მიმართვაში რუზველტი შეეხო მხოლოდ რეგულარულ ხარჯებს სამხედრო საჭიროებისათვის.

კონგრესისათვის ბიუჯეტის საკითხებზე გაგზავნილ ახალ მიმართვაში რუზველტი დაწვრილებით ეხება სპეციალური ფონდის თანხების განაწილებას. რუზველტი მოაგონებს, რომ იგი წინათაც არაერთხელ ამტკიცებდა, რომ „საერთაშორისო მდგომარეობის შეცვლა ამერიკის კონტინენტის ფარგლებს გარეთ, აიძულებს ამერიკის შეერთებულ შტატებს მიიღოს ზომები თავისი თავისუფლების დასაცავად". როგორც სჩანს, უპასუხებს რა რუზველტის მიმართ ოპოზიციურად განწყობილ ზოგიერთ რესპუბლიკელს, იგი სწერს: „პოლიტიკური მიმართულების მიუხედავად, ჩვენ უნდა შევთანხმდეთ, რომ საერთაშორისო მდგომარეობა ჩვენგან მოითხოვს ზომების მიღებას ნაციონალური თავდაცვის გასაძლიერებლად. ჩვენ არა გვაქვს იმის გარანტიები, რომ ხანგრძლივი დროის განმავლობაში არ დაგვესხმიან თავს გარედან, რისთვისაც ჩვენ მზად უნდა ვიყოთ". სამხედრო სამინისტროსათვის ნავარაუდევი თანხებიდან რუზველტი მოითხოვს 300 მილიონი დოლარის გაღებას სულ მცირე 3 ათასი ახალი თვითმფრინავის ასაგებად და 110 მილიონი დოლარის გაღებას სამხედრო შეიარაღებისათვის. საზღვაო სამინისტროსათვის დანიშნული თანხებიდან რუზველტი მოითხოვს გაღებულ იქნას 44 მილიონი დოლარი ატლანტიკისა და წყნარ ოკეანეებში ამერიკის შეერთებული შტატების სამხედრო-საზღვაო ბაზების შესაქმნელად და გასაძლიერებლად და 8 მილიონი დოლარი—სანაპირო თავდაცვის გასაძლიერებლად.

ჩინელთა ჯარის შეტევა

ლონდონი, 12 იანვარი (ტასსი). გაზეთ „დეილი ტელეგრაფ ენდ მორნინგ პოსტის" ჰონკონგელი კორესპონდენტი იუწყება, რომ 11 იანვარს ჩინეთის სარდლობამ შანსიდან მდ. ხუანხეზე გადმოიყვანა 60 ათასი ჯარისკაცი. მდინარეზე გადმოსულმა ჯარმა დაიწყო მოულოდნელი შეტევა იაპონელთა პოზიციებზე. ჩინელებმა 32 კილომეტრით წაიწიეს წინ ასკილომეტრიანი ფრონტის გასწვრივ და მრავალი ქალაქი დაიკავეს. ჩინელთა ჯარის შეტევა იმდენად მოულოდნელი იყო, რომ იაპონელებმა დასტოვეს დიდძალი სამხედრო მასალა, მათ რიცხვში მრავალი საბარგო ავტომობილი და ტანკი.

მარჯანიშვილის სახ. თეატრის მსახიობები: დ. ჩხეიძე, თ. ჩარკვიანი, ა. დონჯაშვილი, მ. ლორთქიფანიძე, ა. გომელაური, ი. ქოქრაშვილი, ლ. შატბერაშვილი, ა. სიხარულიძე.

საბჭოთა თეატრში მუშაობა ბედნიერებაა

მარჯანიშვილის სახელობის თეატრის მუშაკს 10 წლისთავზე ბევრი აზრი, გრძნობა და ფიქრი აღეძვრის ყოველგვარი ნაკლის გამოსწორების, შემოქმედებითი მუშაობის შემდგომი გაცხოველების შესახებ, მაგრამ დღეს ყველაზე უმეტესი ბედნიერებისა და სიამაყის გრძნობით ვართ შეპყრობილი. ხელოვნება ჩვენს დიად ქვეყანაში ნამდვილად ხალხს ეკუთვნის და ის გამოსახავს სოციალიზმის ცხოველმყოფელ სინამდვილეს, ყველაზე მოწინავე იდეებით გამსჭვალული ბედნიერი ადამიანების ბრძოლაში სიმამაცესა და შრომაში გმირობას.

უნებურად მაგონდება ჩემი მუშაობა საზღვარგარეთის თეატრებში. იქ თეატრალური ხელოვნებით ვაჭრობენ, თეატრები ხელთ აქვთ დაბალი გემოვნების მქონე ანტრეპრენიორებს — ბანკირებს, ვაჭრებს, რომელნიც ხელოვნების საკითხებს შემოსავლიანობის თვალსაზრისით სწყვეტენ. საზღვარგარეთ არიან თეატრებიც, რომელთაც იქ „მხატვრულს" უწოდებენ, და რომელნიც წვრილბურჟუაზიული ინტელიგენციის გემოვნების გამომხატველნი არიან. ამ თეატრებს არ გააჩნიათ რაიმე გარკვეული იდეური მიმართულება. ერთერთ ასეთ „მოწინავედ" წოდებულ თეატრში მე განვიზრახე დამედგა გოლსვორტის პიესა „სამართალი". ამ პიესაში მხილებულია ბურჟუაზიული სასამართლოს უსამართლობა. მუშაობა დავიწყე, მაგრამ მალე თეატრის ბატონ-პატრონმა პიესა მოხსნა და მეც თეატრიდან დამითხოვეს არასასურველი პიესის შეტანისათვის.

მრავალი ნიჭიერი ახალგაზრდა იღუპება იქ. განსაკუთრებით მძიმე მდგომარეობაშია ნიჭიერი მსახიობი-ქალი, რომელსაც ავიწროვებენ, თეატრიდან ითხოვენ ხშირად მხოლოდ იმიტომ, რომ ანტრეპრენიორის ხასას სცენაზე თამაშობის სურვილმა წამოუარა.

ჩვენს ბედნიერ ქვეყანაში კი ხელოვნებით ვაჭრობა სამუდამოდ მოისპო, ხალხის შემოქმედებითს ძალებს გზა გაეხსნა, სათეატრო სასწავლებლებსა და ინსტიტუტებში ათასობით ახალგაზრდები ეუფლებიან აქტიორული და რეჟისორული ოსტატობის მექანიკას.

ჩვენს დიად ქვეყანაში ხელოვნება ერთ მუჭა მუქთახორებს კი არ ემსახურება, არამედ ხალხს. ჩვენი თეატრალური კულტურის საუკეთესო სპექტაკლები ყოველწლობით რაიონებში მიგვაქვს მშრომელთათვის საჩვენებლად.

გამარჯვებული სოციალიზმის ქვეყანაში თეატრს უაღრესად საპატიო დანიშნულება აქვს, ლენინ-სტალინის პარტია ჩვენ — თეატრის მუშაკებს — განსაკუთრებულ პასუხისმგებლობას გვაკისრებს, რომ ეპოქის ღირსეული სცენიური შემოქმედებით კიდევ უფრო მეტად ავამაღლოთ ქართული თეატრალური ხელოვნება.

მარჯანიშვილის თეატრი ამ ვალდებულებას შეასრულებს.

ვასო ქუშიტაშვილი

მარჯანიშვილის სახ. თეატრის რეჟისორი.

იმპროვიზატორიდან აქტიორამდე

პირველი ქართული წარმოდგენა, რომელიც მე ვნახე ეს იყო „ოტელო" სახ. არტ. ალ. იმედაშვილის მონაწილეობით.

მეორე დღეს პირველი შთაბეჭდილების ქვეშ გავითამაშეთ ჩვენი ეზოს ერთერთ აივანზე (ზ. ჭიჭინაძის სახლში, რევაზოვის № 5, გარეუბანი) შექსპირის ტრაგედია „ოტელო". პიესა ჩვენ არ გვქონდა, მოკარნახე არ გვყავდა. ვთამაშობდით იმპროვიზაციით და ყველაზე საინტერესო ამ წარმოდგენაში გამოდიოდა ეფექტიური სცენები, დუელის სცენა ცხვირ-პირის მტვრევით შეიცვალა.

ხშირად დავდიოდი სახალხო სახლში. განსაკუთრებით მიყვარდა სახალხო სახლის მაყურებლის საყვარელი მსახიობი ნიკო გოცირიძე.

შემდეგ არ მახსოვს როგორ ამოვყავი თავი ცნობილი „დეზერტირკის" ბალაგანში, რომელსაც მალე ჩამოვშორდი.

გიმნაზიის წლები... საკლასო წარმოდგენებში მონაწილეობა. დაჰბერა თებერვალმა საქართველოში. პირველი ბრძანება ქართული წითელი არმიის შედგენის შესახებ და გავიპარე სამხედრო კურსანტთა სკოლაში. შემდეგ ლეგიონი. მოხლერალთა წრე და სხვ... ამხანაგების რჩევით წამათრიეს დრამატიულ სტუდიაში წითელარმიელის ფორმით. ჩავაბარე გამოცდა. და, ბოლოს, დავამთავრე სახ. სათეატრო ინსტიტუტი სახ. არტ. სუმბათაშვილ-იუჟინის სტიპენდიით. პირველი შეხვედრა დიდ ხელოვან კ. მარჯანიშვილთან რუსთაველის თეატრში მქონდა.

უდიდესი სიხარულით და უღრმესი მოწიწებით ვიხსენებ ამ დიდ ხელოვანს, რომელმაც პირადად ჩემზე დიდი ამაგი და ენერგია დახარჯა. იგი სხვადასხვა ხასიათის როლებით მტვირთავდა.

ჩვენ გაგვიტაცა მისი ნიჭის მრავალფეროვნებამ, ფანტაზიის დიდმა ორიგინალობამ, ხელოვნებისა და, კერძოდ, თეატრის მაღალმა კულტურამ. მის გარშემო აქტიორები განიცდიდნენ ნამდვილ შემოქმედებით აღფრთოვანებას და სიხარულს.

დღეს, ამ საამაყო დღესასწაულის წუთებში ჩვენ კიდევ ერთხელ ვიგონებთ მას, ვიგონებთ მისი მამობრივი გრძნობით გამსჭვალულ სიტყვებს: „იამაყეთ იმ უდიდესი მზრუნველობით, რომელსაც საბჭოთა ხელისუფლება იჩენს თქვენს მიმართ, იამაყეთ იმ სიყვარულით, რომლითაც დაგაჯილდოვათ ხალხმა და იარეთ წინ ბრწყინვალე მომავლისაკენ".

ვ. გოძიაშვილი

მიწისძვრა

ადიგენი, 14 იანვარი (საქტაგი). 12 იანვარს, ღამის 12 საათსა და 10 წუთზე ადიგენში მოხდა ძლიერი მიწისძვრა. რამდენიმე წუთის შემდეგ მოჰყვა მეორეც, მაგრამ უფრო სუსტი, ვიდრე პირველი. უბედურ შემთხვევას ადგილი არ ჰქონია.

კრებები და მოხსენებები

● **მონადირეთა კავშირში** დღეს, საღამოს 8 საათზე, შესდგება ევგ. მარკოვის ლექცია საბჭოთა სამონადირეო მეურნეობის სწორად წარმართვის შესახებ. მონადირეთა კავშირის წევრებისათვის ლექციაზე დასწრება თავისუფალია.

● **მწერალთა კლუბში** 19 იანვარს, საღამოს 8 საათზე, გაიმართება ალ. ქუთათელის რომანის „პირისპირ" მეორე წიგნის განხილვა. მოხსენებას გააკეთებს ბ. ჟღენტი. კამათში მონაწილეობის მისაღებად მოწვეული არიან მწერლები და კრიტიკოსები.

კულტურული მომსახურება კინოთეატრებში

მიმდინარე წელს თბილისის კინოთეატრები საგრძნობლად გააუმჯობესებენ მაყურებელთა კულტურულ მომსახურებას. კინოთეატრების ფოიეში ჩატარდება საუბრები საერთაშორისო პოლიტიკის საკითხებზე. მოეწყობა კუთხეები გაზეთებისა და ჟურნალების წასაკითხად. ცენტრალურ კინოთეატრებში დაუკრავს ჯაზ-ორკესტრები, შესდგება სიმფონიური ანსამბლებისა და საესტრადო მსახიობების კონცერტები.

დღეს კინოებში

ოქტომბერი — „ჭარიყლაპიას ბრძანებით".

კომკავშირელი — დღისით „ჭარიყლაპიას ბრძანებით",

საღამოს — „მდიდარი პატარძალი".

დამკვრელი — „პატიოსნება".

სპარტაკი — დღისით „მიტკა ლელიუკი",

საღამოს — „საზღვარზე".

როზა ლუქსემბურგის სახ. — „ჭაობის ჯარისკაცი".

26 კომუნარის სახ. — „ალექსანდრე ნეველი".

პარტკაბინეტებში

ა. წ. 15 იანვარს, საღამოს 8 საათზე, საქ. კ. პ. (ბ) თბილისის ორგანიზაციის ორჯონიკიძის რაიკომის პარტკაბინეტში შესდგება ჯგუფური კონსულტაცია თემაზე: „ვ. ი. ლენინის მიერ ნაროდნიკობის განადგურება". კონსულტანტი ამხ. სახაროვი. ქართულ ენაზე.

ლ. კეცხოველის სახელობის პარტპროპაგანდის სახლში

15 იანვარს შესდგება ამხ. ნიკოლაევსკის ლექცია თემაზე: რევოლუციურ და ლიბერალურ ნაროდნიკებს შორის მსგავსებისა და განსხვავების შესახებ. რუსულ ენაზე. დასაწყისი საღამოს 8 საათზე.

○

ყოველდღიურად ტარდება კონსულტაცია მარქსიზმ-ლენინიზმის, საერთაშორისო და სხვა პოლიტიკურ საკითხებზე პროპაგანდისტებისათვის, მომხსენებლებისათვის, აგიტატორებისა და იმ ამხანაგებისათვის, რომლებიც შეუდგნენ „საქ. კ. პ. (ბ) ისტორიის მოკლე კურსის" დამოუკიდებლად შესწავლას.

კონსულტაცია ტარდება დღის 10-დან 4 საათამდე და საღამოს 8-დან 11 საათამდე, ქართულ და რუსულ ენებზე.

კონსულტანტთა ტელეფონები: 3—18—46 და 3—61—68.

პასუხისმგებელი რედაქტორი
ვ. ხატიაშვილი

გაზ. „კომუნისტის" რედაქციასთან არსებული ძირეული პრესის მუშაკთა მოსამზადებელი კურსების მსმენელთა

მორიგი მეცადინეობა

შესდგება 15 იანვარს, რედაქციის ბინაზე (რუსთაველის პროსპ. № 16) საღამოს სრულ 7 საათზე.

კურსების მსმენელთა დასწრება სავალდებულოა.

მარჯანიშვილის სახელობის თეატრის ფასადი

ფოტო რ. აკოფოვისა

ლენინგრადის საჯარო ბიბლიოთეკის 125 წლისთავი

1939 წლის 15 იანვარს სრულდება ლენინგრადის მ. ე. სალტიკოვ-შჩედრინის სახელობის სახელმწიფო საჯარო ბიბლიოთეკის არსებობის 125 წლისთავი.

საჯარო ბიბლიოთეკა, რომელიც აღმოცენდა როგორც სამუზეუმო ტიპის დაწესებულება, საბჭოთა ხელისუფლების წლებში იქცა მსოფლიოს ერთერთ უდიდეს წიგნთსაცავად.

კაცობრიობის დიდი გენიოსი ვლადიმერ ილიას-ძე ლენინი ხშირად დადიოდა ამ ბიბლიოთეკაში. თავის წიგნზე — „კაპიტალიზმის განვითარება რუსეთში" მუშაობის დროს ვ. ი. ლენინი სარგებლობდა საჯარო ბიბლიოთეკის 583 წიგნით.

დიდი ოქტომბრის პირველსავე დღეებში 1917 წლის ნოემბერში ვლადიმერ ილიას-ძემ დასწერა „პეტროგრადში საჯარო ბიბლიოთეკის ამოცანების შესახებ".

ამ დოკუმენტში მოცემული იყო წინადადებები ბიბლიოთეკის მუშაობის ახლებურად გარდაქმნის შესახებ. ვლადიმერ ილიას-ძე სწერდა, რომ „საჯარო ბიბლიოთეკის სიამაყესა და სახელს იმაში კი არ უნდა ვხედავდეთ, თუ რამდენია იქ იშვიათი წიგნები, რამდენია XVI საუკუნის გამოცემანი ან X საუკუნის ხელნაწერები, არამედ იმაში, თუ **რამდენად ფართო** მიმოქცევა აქვთ წიგნებს **ხალხში,** რამდენი ახალი მკითხველია მიზიდული, რამდენად სწრაფად ხდება დაკმაყოფილება ყოველგვარი მოთხოვნისა წიგნზე..."

ლენინის ანდერძი მოქმედების პროგრამაა. მ. ე. სალტიკოვ-შჩედრინის სახელობის საჯარო ბიბლიოთეკა ხალხის საკუთრება გახდა. ბიბლიოთეკის დაარსების ისტორია ეკუთვნის წარსული საუკუნის დასაწყისს.

1801 წელს შენობის აგების შემდეგ დაიწყო აქ წიგნების გადმოტანა სხვადასხვა წიგნთსაცავებიდან და თაროებზე დალაგება. კატალოგი მაშინ არ არსებობდა. 10 მოხელემ 10 წლის განმავლობაში გაარჩია 100 ათას წიგნზე ცოტა მეტი. ბიბლიოთეკის გახსნას აპირებდნენ 1812 წელს, მაგრამ საფრანგეთთან ომმა შეუშალა ხელი.

მხოლოდ 1814 წლის 2 იანვარს (ძველი სტილით) ბიბლიოთეკა საზეიმოდ იქნა გახსნილი. მისი პირველი ბიბლიოთეკარი იყო იგავარაკების ცნობილი ავტორი ი. ა. კრილოვი. პირველ ხანებში ბიბლიოთეკას ჰქონდა მხოლოდ უცხო ენებზე დაწერილი წიგნები, მაგრამ შემდეგ წლებში დაიწყო რუსული წიგნების კრებულის ზრდა.

მ. ე. სალტიკოვ-შჩედრინის სახ. ლენინგრადის საჯარო ბიბლიოთეკის ასპირანტი ე. ე. ვრანსტრამი სინჯავს უძველეს ეგვიპტურ პაპირუსს.

(ტასსის ფოტოქრონიკა)

○

რუსული კულტურის, მუსიკის, ხელოვნების შემდგომი განვითარება მჭიდროდ დაკავშირებულია ბიბლიოთეკის მუშაობასთან.

სამკითხველო დარბაზებში და კაბინეტებში მეცადინეობდნენ გამოჩენილი საზოგადო მოღვაწეები, მწერლები, პოეტები, დრამატურგები, კომპოზიტორები, ისტორიკოსები და სხვ.

ჩვენი ეპოქის დიდი მწერალი ალექსი მაქსიმეს-ძე გორკი ხშირად დაიარებოდა ამ ბიბლიოთეკაში. 1905 წელს ის გამოვიდა აქ მთავარ სამკითხველო დარბაზში გამართულ მიტინგზე.

თავისი არსებობის წლებში ბიბლიოთეკამ დააგროვა ხელნაწერთა უძვირფასესი ფონდი. სპეციალურ სეიფებში ინახება პეტრე I-ის, სუვოროვის, პუშკინის, ლერმონტოვის, ჟუკოვსკის, ლ. ნ. ტოლსტოის, გოგოლის, ტურგენევის და რუსეთის მრავალი სხვა დიადი განმანათლებლის ხელნაწერები. ბიბლიოთეკის მუსიკალურ განყოფილებას აქვს გლინკას, დარგომიჟსკის, ჩაიკოვსკის, რიმსკი-კორსაკოვის და სხვა კომპოზიტორების ხელნაწერები.

ბიბლიოთეკის ფონდები წლითიწლობით იზრდება. საბჭოთა ხელისუფლების არსებობის განმავლობაში ბიბლიოთეკამ თავისი წიგნების ფონდი 3 მილიონი ტომიდან გაადიდა 10 მილიონამდე, სხვანაირად რომ ვთქვათ, 20 წლის განმავლობაში ბიბლიოთეკაში შემოვიდა ორჯერ მეტი გამოცემა, ვიდრე ცარიზმის დროს მისი არსებობის 100 წლის განმავლობაში.

მსოფლიოს წიგნთსაცავთა შორის ბიბლიოთეკას სამართლიანად უჭირავს პირველი ადგილი ვაშინგტონის, პარიზის და ბრიტანეთის მუზეუმის (ლონდონში) ბიბლიოთეკებთან ერთად.

თაროების სიგრძე, რომლებზედაც განლაგებულია უკვე გარჩეული წიგნები და ჟურნალები, 150 კილომეტრზე მეტს შეადგენს.

თუ რევოლუციამდე საჯარო ბიბლიოთეკაში წლის განმავლობაში დადიოდა არა უმეტეს 200 ათასი მკითხველისა, ამჟამად მის დარბაზებში მილიონამდე ადამიანი დაიარება.

ლენინგრადის საჯარო ბიბლიოთეკის წიგნები შეიძლება ვნახოთ თბილისისა და ვლადივოსტოკის, ტაშკენტისა და მურმანსკის და მრავალი სხვა ქალაქის ბიბლიოთეკაში.

ბიბლიოთეკის მუშაკთა კოლექტივი — ეს არის საბჭოთა ინტელიგენციის დიდი რაზმი, რომელიც თავის რიგებში 800 კაცამდე ითვლის. ბიბლიოთეკარები, ასპირანტები, პროფესორები, მეცნიერებათა აკადემიის წევრი - კორესპონდენტები — ყველა ესენი ემსახურებიან ამ საპატიო და კეთილშობილ პროფესიას. ზოგიერთი მათგანის სტაჟი 40-50 წელს აღწევს. ე. ფ. პროსკურიაკოვამ თავისი მოღვაწეობა დაიწყო სახალხო ბიბლიოთეკაში, რომელიც მოთავსებული იყო ნარვის ზასტავას იქით და რომელშიც დადიოდნენ ვ. ი. ლენინი და ნ. კ. კრუპსკაია. მიუხედავად თავისი ხნოვანებისა, პროსკურიაკოვა დიდი გატაცებით მუშაობს ბიბლიოთეკაში. მან შექმნა წიგნის აღდგენის ლაბორატორია. დაძველებულ, დახეულ ძვირფას წიგნებს ამხ. პროსკურიაკოვა უბრუნებს საბჭოთა მკითხველს. ი. პ. ბიჩკოვი — ხელნაწერების განყოფილების გამგე — 50 წელიწადია მუშაობს ბიბლიოთეკაში და, მიუხედავად იმისა, რომ იგი უკვე 75 წლისაა, ახლაც განაგრძობს თავის ნაყოფიერ მუშაობას. ა. ნ. რიმსკი - კორსაკოვმა — ცნობილი კომპოზიტორის რიმსკი-კორსაკოვის შვილმა — დიდი მუშაობა ჩაატარა ბიბლიოთეკის შესანიშნავი მუსიკალური ფონდის შექმნისათვის.

მსოფლიოში უდიდესი წიგნთსაცავი — სალტიკოვ-შჩედრინის სახელობის ბიბლიოთეკა — ეს არის თავისებური გიგანტური კომბინატი ჩვენი სოციალისტური კულტურული მშენებლობისა. საჯარო ბიბლიოთეკის 125 წლისთავი უეჭველად დიდი კულტურულ - პოლიტიკური მნიშვნელობის მოვლენაა.

რამაზან ხალილოვი.

ლენინგრადი.

რუსთაველის სახელობის
ლენინის ორდენოსანი
სახელმწიფო თეატრი
1938-39 წ. სეზონი

15/I — წარმოდგენა 97 — უდანაშაულოდ დამნაშავენი
16/I — წარმოდგენა 98 — სულელი
17/I — წარმოდგენა 99 — ნაპერწკლიდან

სალარო ღიაა დილის 12 საათიდან
საღამოს 9 საათამდე
დასაწყისი საღამოს 8 ს.

თბილისის ზ. პ. ფალიაშვილის
სახ. ოპერისა და ბალეტის
ლენინის ორდენოსანი
სახ. თეატრი 1938-39 წ. სეზონი

15/I — მუდმ. ადგ. ტალ. № 73 — აიდა
16/I — მუდმ. ადგ. ტალ. № 74 ამ. სერ. № 7 — სევილიელი დალაქი

დასაწყისი საღამოს 8 საათზე

მარჯანიშვილის სახელობის
სახელმწიფო თეატრი

15/I — თეატრის X წლისთავი
16/I — კოლმეურნის ქორწინება
17/I — კოლმეურნის ქორწინება

სალარო ღიაა დილის 12 საათიდან
საღამოს 9 საათამდე
დასაწყისი საღამოს 8 ს.

ექიმი
მძინარიშვილი
ვენერიული, სიფილისი და კანის სნეულებანი. სქესობრივი სისუსტე (ელექტრონით მკურნალობა), ქალთა და ბავშვთა გონორეა. ავადმყოფთა მიღება დილის 8—10 საათამდე, საღ. 7—9 ს. ქალების და ბავშვთა საღ. 6—7 საათამდე, გრიბოედოვის ქ. № 20, ბინა 38, მე-4 შესავალი, მე-2 სართული.
5—1 27468

მარჯანიშვილის სახელობის თეატრი

1939 წ. იანვრის 15-ს თეატრის შემოქმედებითი მუშაობის
X წლისთავი
I. საზეიმო სხდომა
II. ურიელ აკოსტა
კ. გუცკოვისა. II მოქმ. თარგმანი ვ. გაფრინდაშვილისა.
III. ნაპერწკლიდან
შ. დადიანისა, მე 5, მე-15 და მე-17 სურ.
დასაწყისი საღამოს 8 საათზე. შესვლა მხოლოდ მოსაწვევი ბარათებით.
15 იანვრის მუდმივი ბილეთები ვარგისი იქნება 25/I-მდე, ხოლო ბილეთი უნდა წარედგინოს სალაროს 1—2 დღით ადრე ადგილების მისაღებად. 45

თბილისის მაუდის ფაბრიკასთან არსებული
საფ.-საქ. სკოლის დირექცია
განაგრძობს მოწაფეთა მიღებას 1938/39 სასწავლო
წლისათვის.

სკოლა ამზადებს კვალიფიციურ კადრებს მაუდის ფაბრიკისათვის ქსოვის დარგში.

სკოლაში მიიღებიან ორივე სქესის ახალგაზრდები 17-დან 21 წლამდე. სკოლაში არ დაიშვებიან 5 ჯგუფზე ნაკლები ცოდნით. უპირატესობა ეძლევათ ქალებს და 7 წლედ დამთავრებულებს.

სწავლის კურსი 1 წლიანია.

სკოლაში ჩარიცხულნი უზრუნველყოფილი იქნებიან ტრამვაის აბონემენტებით. ხელფასი მიეცემათ 47-დან 75 მანეთამდე. უფასო სადილი და კინო-თეატრის ბილეთები მსმენელებს სკოლის დამთავრების შემდეგ შეუძლიანთ წარმოებას მოუწყვეტლივ განაგრძონ სწავლა ამავე სასწავლო კომბინატთან არსებულ მუშფაკში და ტექნიკუმში.

მსურველებმა განცხადებასთან ერთად უნდა წარმოადგინონ საბუთები: 1) განათლების, 2) მეტრიკული ამონაწერი, 3) ჯანმრთელობის, 4) ორი ფოტოსურათი, 5) მოვლინების მოწმობა, 6) პასპორტი უნდა იქონიონ ხელზე.

განცხადების მიღების უკანასკნელი ვადაა 1 თებერვლამდე.

მისაღები გამოცდები იწარმოებს ქართულ ენასა და მათემატიკაში.

დიდუბე, ბრძოლის ქუჩა № 108-ა, მაუდის ფაბრიკასთან.

14 **სასწავლო კომბინატის დირექცია.**

თბილისის სახელმწიფო სამედიცინო ინსტიტუტი

აცხადებს, რომ 1939 წლის 23 იანვარს, ნაშუადღევის 2 საათზე, სოც. ჰიგიენის აუდიტორიაში (ლუნაჩარსკის ქ. № 12) დანიშნულია საბჭოს ღია სხდომა, რომელზედაც შესდგება საჯარო პაექრობა მედიცინის მეცნიერებათა კანდიდატის ხარისხის მოსაპოვებლად. დისერტაციას დაიცავს ექ. **ილია ტიმოთეს-ძე ბერულავა** თემაზე: **„მალარიის თერაპია და პროფილაქტიკა ახალი სინთეტიკური პრეპარატით".** ოფიციალურ ოპონენტებად დანიშნული არიან პროფ. **სვ. კანდელაკი** და **პროფ. ბ. ოქროპირიძე.**

მსურველთ შეუძლიათ გაეცნონ შრომას თბილისის სახ. სამედიცინო ინსტიტუტის ბიბლიოთეკაში (ლუნაჩარსკის ქ. № 12).

50 **დირექცია.**

მისამართი: რედაქციის — თბილისი, რუსთაველის პროსპ. № 16, გამომცემლობის — რუსთაველის პროსპექტი № 34' ტელეფონები: პასუხისმგებელი მდივნის — 3—08—67, პ.-მგ. მდივნის მოადგილისა — 3—06—88, განყოფილებებისა: პარტიულის — 3—57—61, სასოფლო-სამეურნეოს — 3—73—40, მშრომელთა წერილების — 3—73—24, პ.-მგ. მორიგის — 3—26—67, გამომცემლობის — 3—51—81, სტამბის დირექტორის — 3—27—04 ხელნაწერები ავტორებს არ უბრუნდება.

ამხ. ს. თოდრიას სახელობის სტამბა „კომუნისტი", თბილისი, კამოს ქ. № 68.

მთავლიტის რწმუნებული ე—267